2011 წელი, 26 მაისი - 1 ივნისი
ფასი 1 ლარი

ახალი გაზეთი

№20 (534) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

გამოცდები

გამოცდები

მთელი საქართველოს მასშტაბით, პირველი გამოსაშვები გამოცდები დაიწყო. გამოცდები ე.წ. CAT-ის ტიპის საგამოცდო მოდელით ტარდება. CAT-ის სისტემა გულისხმობს ადაპტირებულ ტესტს ორიენტირებულს მოსწავლის შესაძლებლობაზე. ასეთი ტესტირება მსოფლიოში კარგადაა აპრობირებული, თუმცა, საქართველო პირველია, სადაც ასეთი მასშტაბური გამოცდა ცენტრალიზებურად, ერთიანი მართვისა და კონტროლის პირობებში ტარდება. ყველა მოსწავლე თანაბარ პირობებშია, თითოეულ საგანს ერთი დღე აქვს დათმობილი და მას ყველა მეთორმეტეკლასელი, ამავე დღეს, თავის სკოლაში, რამდენიმე სესიის განმავლობაში აბარებს. პროგრამა მოსწავლის ცოდნას ინდივიდუალურად აფასებს, შეფასება შეიძლება მოხდეს 15 წუთში, ან მეტ დროში. გამოცდისთვის განკუთვნილი დრო განსაზღვრულია 1 საათი და 40 წუთით.

საატესტატო გამოცდებისათვის მზადებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გამოცდების ეროვნულ ცენტრთან ერთად, მთელი წლის განმავლობაში ახორციელებდა:პირველ რიგში, შემოღებულ იქნა აბიტურის საათები, სადაც მოსწავლეები საგამოცდოდ მზადებას ყველა საგანში გადიოდნენ; გამოცდების შეუფერხებლად ჩატარებისთვის ყველა საჯარო სკოლაში შეიქმნა სათანადო ინფრასტრუქტურა და გამართული ინტერნეტმომსახურება; ყველა სკოლა აღიჭურვა კომპიუტერებით; კონკურსის წესით შეირჩა ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტები, რომლებიც გამოცდებს ტექნიკურად უზრუნველყოფენ.

საატესტატო გამოცდების მნიშვნელობისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ამ ტიპის გამოცდები საქართველოში პირველად ტარდება, სამინისტროს მიერ არაერთი ღონისძიებაა გათვალისწინებული, რათა ყველა მოსწავლის ინტერესი და უფლებები იყოს დაცული.

23 მაისს, 9 საათზე, საქართველოს ყველა რაიონის სკოლის მოსწავლეებმა ერთდროულად დაიწყეს ქართული ენისა და ლიტერატურის დავალებებზე მუშაობა.

კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირება გამოცდების ეროვნულ ცენტრში შექმნილი კომპიუტერული პროგრამისა და ალგორითმის მეშვეობით ტარდება. მოსწავლეები ინტერნეტთან მიერთებულ იდენტურ ნეთბუქებთან მუშაობენ.

გამოსაშვები გამოცდები 8 საგანში ბარდება: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა (ერთი-ერთი), მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია. საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები გამოცდებს მშობლიურ ენაზე აბარებენ.

გამოცდები შემდეგი თანმიმდევრობით ტარდება:

23 მაისი – ქართული ენა და ლიტერატურა; ქართული ენა როგორც მეორე ენა;
24 მაისი – უცხოური ენა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული ენა);
25 მაისი – ისტორია;
27 მაისი – გეოგრაფია;
28 მაისი – ფიზიკა;
30 მაისი – ქიმია;
31 მაისი – ბიოლოგია;
1 ივნისი – მათემატიკა.

– მოსწავლეები, რომლებიც რწმენისა და აღმსარებლობის გამო ვერ შეძლებენ 28 მაისს გამოცდაზე გამოცხადებას, ფიზიკის გამოცდას 29 მაისს ჩააბარებენ.

– მოსწავლეები, რომლებიც იმყოფებიან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, გამოსაშვებ გამოცდებს 2011 წლის 4 ივნისიდან 11 ივნისის ჩათვლით ჩააბარებენ.

– მოსწავლეები, რომლებიც GHSEP/FLEX-ის პროგრამებით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებიან, გამოსაშვებ გამოცდებს 2011 წლის 4 ივნისიდან 11 ივნისის ჩათვლით ჩააბარებენ.

ყველა მოსწავლემ საკუთარ სკოლაში მიიღო მოსაწვევი, სადაც მითითებულია 8-ვე გამოცდაზე გამოცხადების თარიღი და დრო. მეთორმეტეკლასელები გაეცნენ გამოცდაზე ქცევის ინსტრუქციას – გამოცდაზე თან უნდა იქონიონ მხოლოდ მოსაწვევი, პირადობის მოწმობა და კალამი. უფლება აქვთ, თან იქონიონ პირადი ჰიგიენის ნივთები (მაგ., ცხვირსახოცი) და წყალი პლასტმასის ბოთლით.

საგამოცდო ოთახებში მუშაობს ვიდეოკამერა და ხმის ჩამწერი აპარატურა. საგამოცდო პროცესის მიმდინარეობას გამოცდების ეროვნული ცენტრიდან წარგზავნილი 3345 მეთვალყურე აკვირდება.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი გამოცდების მიმდინარეობას სკოლების გარდა, სამინისტროს მონაცემთა დამუშავების ცენტრიდან, ცენტრალური სერვერისა და აუდიო გამოსახულების საშუალებით ადევნებდა თვალს.

ცენტრალური სერვერი, სადაც თავს იყრის მთელ საქართველოში მიმდინარე გამოცდების შესახებ ინფორმაცია, გამართულად მუშაობს და არანაირი ტექნიკური პრობლემა არ დაფიქსირებულა. სამინისტროს ძალისხმევით, ცენტრალური სერვერი უახლესი ტექნიკითაა აღჭურვილი. დამკვირვებლები საგამოცდო ცენტრში შექმნილ ნებისმიერ შეფერხებაზე ინფორმაციას მომენტალურად იღებენ.

საატესტატო გამოცდების პირველი დღის შედეგები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა ბრიფინგზე შეაჯამეს.

„მეთორმეტეკლასელთა გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, საქართველოს მასშტაბით, 1520 სკოლაში არსებულ ყველა საგამოცდო ცენტრში ჩატარდა. პროცესი ყველგან სტაბილურად, შეფერხებებისა და ექსცესების გარეშე წარიმართა. სამინისტროს მონაცემთა დამუშავების ცენტრიდან, ცენტრალური სერვერისა და აუდიო გამოსახულების საშუალებით გამოცდის მიმდინარეობა მუდმივად კონტროლდებოდა, რაც ყოველგვარი შესაძლო ტექნიკური ხარვეზის დროულად აღმოფხვრის საშუალებას იძლეოდა.

უახლესი ტექნიკით აღჭურვილ ცენტრალურ სერვერში მიმდინარე გამოცდების შესახებ თავმოყრილი ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ გამოცდის პირველი დღე წარმატებული იყო. რაც შეეხება მოსწავლეთა დამოკიდებულებას დავალებებისა და საგამოცდო პროცესის მიმართ, მათ მიერ გაკეთებული შეფასებებით – ტესტური დავალებები საკმაოდ მარტივი და მათთვის ადვილად დასაძლევი იყო, ხოლო შექმნილი გარემო მოსწავლეებს ხელს უწყობდა ცოდნის მაქსიმუმი გამოევლინათ.

მოსწავლეთა 20%-ზე მეტმა საგნის ცოდნის მაღალი დონე აჩვენა და შესაბამისად, მაღალი შეფასება დაიმსახურა.“

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, **კოკა სეფერთელაძემ** და გერმანიის ელჩმა საქართველოში **ორთვინ ჰენიგმა** პროფესიულ განათლებაზე გამართული ფოტოკონკურსის „ჩემი პროფესია-ჩემი მომავალი“ მონაწილეები დააჯილდოვეს.

საუკეთესო ოცეულში მოხვედრისათვის კონკურსანტებს სერტიფიკატები დაურიგდათ. პირველი სამი ადგილის მფლობელებს კი, სპეციალური პრიზები გადაეცათ:

პირველი ადგილი – iPod nano;

მეორე ადგილი – ნახევარი წელი უფასო ინტერნეტი;

მესამე ადგილი – 100-ლარიანი სასაჩუქრე ბარათი წიგნების შესაძენად.

კონკურსი პროფესიულ განათლებაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და GIZ-ის ორგანიზებით ჩატარდა. კონკურსანტებს ნამუშევრების წარმოდგენის ბოლო ვადა 1 მაისს ჰქონდათ. ფოტოები სპეციალურმა ჟიურიმ შეაფასა. კონკურსში მონაწილეობის მიღება, საქართველოს მასშტაბით, ყველა სკოლისა და პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებსა და მოსწავლეებს შეეძლოთ.

საუკეთესო ნამუშევრების გამოფენა და გამარჯვებულების დაჯილდოება თბილისში გერმანიის დღეების ფარგლებში ჩატარდა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **დიმიტრი შაშკინმა** და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში **ორთვინ ჰენიგმა** გახსნეს გამოფენა, რომელზედაც ის საგანმანათლებლო პროგრამები და პროექტები იყო წარმოდგენილი, რომელსაც გერმანული მხარე საქართველოში ახორციელებს.

მინისტრი, გერმანიის ელჩთან ერთად, გამოფენას გაეცნო და მონაწილე ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. გამოფენაში მონაწილეობდნენ: საზღვარგარეთის სკოლებში სწავლების გერმანიის ცენტრალური უწყება (ZfA); Deutsche Sparkassenstiftung (გერმანიის შემნახველი ბანკების ფონდი); საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის ენის განყოფილება (GI); გერმანიის სახალხო უმაღლესი სკოლების ასოციაცია (DVV); თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა; გერმანიის აკადემიური გაცვლების სამსახური (DAAD); საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდია (IPS); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (TSU); ალექსანდერ ფონ ჰუმბოლტის ფონდი (AvH).

საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, შემოთავაზებული იყო ინფორმაციები გერმანიაში სწავლის/კვლევების შესაძლებლობების, DAAD-ს სტიპენდიების, საზღვარგარეთის სკოლებში სწავლების გერმანიის ცენტრალური უწყების (ZfA) ისტორიისა და ამჟამინდელი საქმიანობის, გერმანული ენის დიპლომისა (DSD) და საქართველოში არსებული DSD-სკოლების შესახებ.

გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი იყო ხელნაკეთი ნივთები, რომლებიც გერმანიის უმაღლესი სკოლების კავშირისა (DVV) და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გამართული კურსების მონაწილეების მიერ შეიქმნა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** ბიოლოგიის მასწავლებლებისათვის გამართულ სემინარს დაესწრო. სემინარის თემა ბიოლოგიის სწავლების ინტერაქტიული მეთოდები იყო და მის მუშაობაში თბილისის სხვადასხვა რაიონის 60 პედაგოგი მონაწილეობდა.

მასწავლებლების გადამზადება ბიოლოგიის სასწავლო ლაბორატორიის მეშვეობით განხორციელდა. სემინარზე საუბარი იყო სწავლების პროცესში ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებასა და გამოცდილების გაზიარებაზე. გარდა ამისა ტრენერი იმ პარალელებსაც შეეხო, რომელიც სხვა საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებთან არსებობს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პედაგოგებს, ბიოლოგიის გარდა, სპეციალური ლაბორატორიების მეშვეობით, ფიზიკასა და ქიმიაშიც გადაამზადებს. თბილისისა და რეგიონების მასშტაბით, 300-მდე პედაგოგმა ტრენინგი უკვე გაიარა. „აინშტაინის ლაბორატორიები“ საქართველოს ყველა სკოლას გადაეცემა. ამ ეტაპზე, ლაბორატორიები თბილისისა და რეგიონების სკოლების ნაწილში უკვე დარიგებულია.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, **ირინე ქურდაძემ** და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში **ორთვინ ჰენიგმა**, საქართველოში გერმანული დღეების ფარგლებში, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, საქართველოს PASCH-სკოლების 83 მოსწავლეს გერმანული ენის დიპლომები გადასცეს.

PASCH, ანუ „სკოლები: მომავლის პარტნიორები“, გერმანიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის, **ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის** ინიციატივით დაარსდა და მისი მიზანია სკოლებს შორის მსოფლიო პარტნიორული ქსელის შექმნა და ამით ახალგაზრდებში გერმანიისა და მისი საზოგადოების მიმართ ინტერესის გაღვივება. ყველა PASCH-სკოლაში გერმანელი მასწავლებლები მუშაობენ.

საქართველოში აღნიშნულ ინიციატივაში ათი სკოლა მონაწილეობს, მათ კოორდინაციას საზღვარგარეთის სკოლებში სწავლების გერმანიის ცენტრალური უწყება (ZfA) და გოეთეს ინსტიტუტი უწევენ. საქართველოში ხუთი სკოლა (ოთხი – თბილისში და ერთი – თელავში) გასცემს გერმანული ენის მეორე საფეხურის (DSD-2) დიპლომს, რომელიც გერმანიის უნივერსიტეტებში სწვალისათვის საჭირო გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთია.

10 წელია, რაც საქართველოში გერმანული ენის დიპლომის პროგრამა მოქმედებს. 1999 წლის შემდეგ, 532 ქართველმა მოსწავლემ წარმატებით ჩააბარა DSD-ის მეორე საფეხურის გამოცდა და აიღო დიპლომი.

სკოლის დირექტორთა საყურადღებოდ!

ISO 9001:2008 ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელი ერთადერთი საგანმანათლებლო ორგანიზაცია საქართველოში – „ლიბო MNT“ გთავაზობთ მომსახურების სრულ პაკეტს სკოლების ავტორიზაციასთან დაკავშირებით:

- **სკოლების თვითშეფასების ანგარიში**
- **ავტორიზაციის მისაღებად დაწესებულების მზაობა და შესაბამისი პრევენციული და კორექციული ღონისძიებები**

(კონსულტაცია, აუდიტი, მონიტორინგი)

საკონტაქტო ტელეფონი:
8(77) 22 00 53 – ნანა,
8(99) 29 83 38 – მარიამი,
8(77) 28 11 82 – ნინო

ახალი ძალებით, ახალი შემართებით

ამ დღეებში, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის თბილისის სასწავლო ცენტრში, გაიმართა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გამგეობის მორიგი სხდომა, რომელსაც გამგეობის წევრების გარდა, ესწრებოდნენ პედაგოგები სხვადასხვა რეგიონებიდან და სტუდენტები უმაღლესი სასწავლებლებიდან.

ბოლო ათწლეულებში ამ კავშირმა არაერთგზის გამოხატა ეროვნული საგანმანათლებლო პრობლემებისადმი თავისი პირუთვნელი დამოკიდებულება და საქმითაც დაამტკიცა ტრადიციული ერთგულება იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობისადმი.

დრო პირუთვნელი შემფასებელია, ერის კეთილგონიერი მეხსიერება კი, წარსულის მაგალითებით ამტკიცებს, რომ უკვდავება ერთი კაცისა ან ზოგადად საერო საქმეებისა, რანაირი ძლიერი მთავრობა ან საქვეყნო კანონები არ უნდა იყოს, არავის და არაფერს შეუძლია, ერისკაცები და საერო საქმენი თავად უკვდავყოფენ საკუთარ თავს.

ასეთ საშვილიშვილო, საქვეყნო საქმეთა შორისაა 1879 წელს ქართველ მოღვაწეთა ერთი ჯგუფის მიერ დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის სამემკვიდრეო გაგრძელებად იქცა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი. იგი 1961 წლიდან ფუნქციონირებს თბილისში, კონკრეტულად, დღემდე განათლების სამინისტროს შენობაში არსებული ოფისით და ქვეყნის ყველა რეგიონში – მრავალრიცხოვანი საზოგადოებებით.

ამ კავშირმა, 50 წლის განმავლობაში, უამრავი სასიკეთო საქმე აკეთა და დღესაც სასწავლო-საგანმანათლებლო, შემეცნებითი პროექტებითა და კონკურსებით, ეროვნული ცნობიერების გადამრჩენია. ცალკე აღნიშვნის ღირსია კავშირის გამგეობის წევრთა რუდუნება იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობის გადასარჩენად თითქმის შიშველ ენთუზიაზმსა და პატრიოტიზმზე, რომელიც მიზნად ისახავს ამ დანატოვარის მოვლა-გაფრთხილებასა და მომავალი თაობებისათვის გადაცემას.

კავშირს, ბოლო დღეებამდე, თავმჯდომარეობდა საქართველოს პარლამენტის წევრი **პეტრე მამრაძე**, რომელმაც თავად მიიღო გადაწყვეტილება კავშირის თავმჯდომარეობიდან გადადგომის შესახებ.

გამგეობის წევრთა ინიციატივით, შეირჩა რამდენიმე კანდიდატურა. საბოლოოდ ყურადღება შეჩერდა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორზე, აკადემიკოს **გარი ჩაფიძეზე**, რომელიც არის საქართველოს საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, უკრაინის კადრების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ლინქოლნის უნივერსიტეტის პროფესორი (ამერიკა). ოფიციალური ღონისძიება 9 მაისს ზევით დასახელებულ ინსტიტუტში გაიმართა, მას პროფესორი, კავშირის გამგეობის წევრი **ოლეგ ალავიძე** უძღვებოდა.

სხდომაზე პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარისა და გამგეობის წევრის მოვალეობისაგან ოფიციალურად განთავისუფლდა პეტრე მამრაძე, მის ადგილზე აირჩა აკადემიკოსი გარი ჩაფიძე, თავმჯდომარის მოადგილედ, გამგეობის გარდაცვლილი წევრის, პროფესორ ივანე კალაძის მაგივრად – ქალბატონი **აზა ბუაძე**.

იაკობ გოგებაშვილის მედლით „პედაგოგიურ დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ – პედაგოგთა კავშირის მთავარი სპეციალისტი, ქალბატონი **სულიკო ზანდუკელი** დაჯილდოვდა.

გამგეობის წევრები: **აზა ბუაძე, ნინო გოგატიშვილი, ნელი ქემაშვილი, სულიკო ზანდუკელი, ოლეგ ალავიძე, ზურაბ ცუცქირიძე, ქეთევან მგალობელი** და სხვები, ადგილობრივ ორგანიზაციათა თავმჯდომარეებთან ერთად, ის ადამიანები არიან, რომელთაც მიაჩნიათ, რომ იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობა უნდა გადაურჩეს ქართველ ერს, რისთვისაც საჭიროა მისი სახელობის მუზეუმის დაარსება.

აზა ბუაძე: *„გასაგებია, რომ დღეს ბევრი რამ ჭირს, მაგრამ ეროვნული ღირებულებების მიმართ წაყრუება კარგს არაფერს მოგვიტანს. რას ვეტყვით სამომავლოდ ჩვენს შვილიშვილებს, როდესაც მოგვკითხავენ, თუ სად და როდის დავკარგეთ გოგებაშვილის ნაქონი ძვირფასი ნივთები, ავეჯი, წიგნები, მისი პუბლიცისტიკა...*

მინდა მივმართო პირდაპირ საქართველოს პრეზიდენტს: ბატონო მიხეილ, თქვენ და თქვენი მშობლები „დედა ენით“ გაიზარდეთ, თქვენი შვილებიც „დედა ენით“ იზრდებიან, იქნებ გამოიჩინოთ თქვენთვის დამახასიათებელი ყურადღება და მოგვხედოთ, თბილისში აუცილებლად უნდა გამოიყოს შენობა, სადაც განთავსდება ამ ღვაწლმოსილი პიროვნების მუზეუმი, უმდიდრესი საექსპოზიციო მასალებით.

ისიც მინდა გითხრათ, რომ განათლებისა და მეცნიერების ამჟამინდელი მინისტრი რომ არა, ალბათ კიდევ უარეს პირობებში ვიქნებოდით. პედაგოგთა კავშირი, წლების მანძილზე, განათლების სამინისტროსთან ერთად, ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის გაძლიერებას ემსახურებოდა.“

გარი ჩაფიძე: *„მთელ საგანმანათლებლო სივრცეში ამ კავშირმა ისეთი მუშაობა უნდა გაშალოს, რომელიც თითოეული პედაგოგის ყოველდღიურ ცხოვრებას შინაარსიანსა და საინტერესოს გახდის.*

მე, ჩემი გამოცდილებით, ამ კავშირის გამოცდილი წევრების გვერდით, ახალ-ახალ პროექტებს შევიმუშავებ პედაგოგთა და მოსწავლეთა დასახმარებლად, ქართული სკოლის ასაღორძინებლად და გადასარჩენად.“

სხდომაზე გამოსულმა პედაგოგებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გარი ჩაფიძის თავმჯდომარედ და მის მოადგილედ აზა ბუაძის არჩევას.

ლია მარტაშვილი

კარგი მკითხველი იშვიათობა რომ არ იყოს

ლიტერატურული კონკურსის „მცირე პროზა“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ

სამი წელია, თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი სტუდენტებისთვის ატარებს ლიტერატურულ კონკურსს „მცირე პროზა“. პროექტის მიზანია დამწყები პროზაიკოსების გამოვლენა-წახალისება.

წელს გამარჯვებულთა დაჯილდოება დაემთხვა საერთაშორისო ფორუმს „მუზეუმების გაზაფხული“, რომელიც ყოველწლიურად მუზეუმების საერთაშორისო დღეს – 18 მაისს იმართება.

ნანა ელიზბარაშვილი, თბილისის მერიის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი: *ქალაქში დაიწყო საერთაშორისო ფორუმი „მუზეუმების გაზაფხული“, რომლის ფარგლებში ჩავატარეთ ლიტერატურული კონკურსი სტუდენტებისთვის „მცირე პროზა“.*

ეს კონკურსი, ტრადიციულად, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმის ინიციატივითა და თბილისის მერიის მხარდაჭერით ტარდება. წელს მხარდამჭერთა რაოდენობა გაიზარდა, რისთვისაც ყველას მადლობა მინდა ვუთხრა. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური, რომელიც ყოველთვის მხარში გვიდგას და რომ არა მათი თანადგომა, ასე მასშტაბურად ჩვენი კონკურსი ვერ ჩატარდებოდა.

თუ კონკურსანტთა შორის თუნდაც ერთ ან ორ პოტენციურ მწერალ-პროზაიკოსს აღმოვაჩენთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროექტი – კონკურსი შედგა. შედგა იმიტომაც, რომ ჩვენთან დაფრთიანებული ახალგაზრდები სხვა მნიშვნელოვან ლიტერატურულ კონკურსებში მონაწილეობენ და იმარჯვებენ.

საკონკურსო ნაშრომებს ორი თვის განმავლობაში ეცნობოდა ჟიური: **ქეთევან ტომარაძე**, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი; **ნინელი ჩიხლაძე**, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ლიტერატურული სტუდიის ხელმძღვანელი; **თამარ მამაცაშვილი**, ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ წარმომადგენელი.

ნამუშევრები ანონიმური იყო, ჟიურის წევრებმა მხოლოდ გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ გაიგეს მათი რჩეულების გვარები.

ნინელი ჩიხლაძე: *მიხარია, კონკურსანტებს შორის ჩვენი ლიტერატურული სტუდიის აღსაზრდელებს რომ ვხედავ. ამ კონკურსს არ აქვს იმის პრეტენზია, რომ ყოველი თქვენგანი აუცილებლად მწერალი უნდა შედგეს. ბატონ ოთარ ჩხეიძეს აქვს ნათქვამი: კარგი მკითხველი ისეთივე იშვიათობაა, როგორც კარგი მწერალი. სწორედ ეს რომ იგრძნობა თქვენს ნაშრომებში, ეს მიხარია ყველაზე მეტად. კიდევ ერთი რამ, რაც ნაშრომების კითხვისას აღმოვაჩინე – იბსენის სიტყვებს შეგახსენებთ: საინტერესო შემოქმედება რომ გქონდეს, საინტერესო ცხოვრებით უნდა იცხოვრო. აი, თქვენს ნაშრომებში ჩანს, რამდენად დატვირთული, საინტერესო და, რაც მთავარია, მოქალაქეობრივი პოზიციით გაჯერებული ცხოვრებით ცხოვრობთ, ასევე, ჩანს ის სატკივარი, ის საფიქრალი და განსასჯელი, რაც ირგვლივ ყოველდღიურ ყოფას თუ თქვენს წრეს, თანატოლებს ახასიათებთ და, რაც მთავარია, ამ ყველაფრიდან უკეთესობისკენ გზების ძიება იგრძნობა.*

მიხარია, რამდენიმე ისეთი მონაწილეც გვყავს, პირველ კონკურსში რომ მონაწილეობდა და თვალნათლივ ჩანს, როგორ იზრდება – როგორი იყო პირველ კონკურსში, როგორი – მეორეში, როგორია დღეს. რამდენად ამაღლდა მისი ნამუშევრის მხატვრული დონე, რამდენად უკეთესად ფლობს ლექსიკას, რამდენად ძლიერი გახდა მისი სიტყვა, რამდენად მყარი გახდა მისი პოზიცია და, რაც მთავარია, მხატვრულობა, რომელიც ნებისმიერ ნაწარმოებს სძენს ღირებულებას, შემოქმედებითი თვალსაზრისით. ჩვენს კონკურსში ყველაზე ნაკლებად ფილოლოგები მონაწილეობენ, უმეტესობა იურისპრუდენციის შესწავლითაა დაკავებული, სამართალმცოდნეობით, ტექნიკური სპეციალობებით და ეს ძალიან კარგია. ლიტერატურა სასწავლო საგანი არ არის. კარგია იმითაც, რომ ამ გზით შემოდის თქვენში სამყაროს აღქმა. ძალიან ბევრი ნაშრომი მომეწონა, ამონაწერებიც კი გავაკეთე ჩემთვის. რა თქმა უნდა, გარკვეული შენიშვნებიც გვაქვს, მაგრამ დღეს ამის ადგილი არ არის. ამაზე მასტერ-კლასები როცა ჩატარდება, მაშინ ვისაუბროთ.

მერწმუნეთ, ნომინაციის გარეშე დარჩენილები არანაკლებ საინტერესოები იყავით, ზოგჯერ ორიოდე სიტყვის სხვაობა გადაწონის ხოლმე. სამწუხაროდ, არ არსებობს ისეთი კონკურსი, ყველა მონაწილე რომ ჯილდოვდებოდეს. თავისთავად ის, რომ თქვენ დღეს აქ ხართ, დამერწმუნეთ, ნიშნავს, რომ გამარჯვებულები ხართ – გადალახეთ პირველი ბარიერი თქვენი ცხოვრების გზაზე. მოიპოვეთ პირველი გამარჯვება თუნდაც თქვენ თავთან ჭიდილში – გახვიდეთ თუ არა საზოგადოების სამსჯავროზე, მიიღოთ თუ არა მონაწილეობა კონკურსში. ხშირად ახალგაზრდას აქვს სურვილი, მაგრამ საკუთარი ნააზრევის სხვათა განსასჯელად გამოტანის სიმამაცე არ ჰყოფნის. ზოგს არ შეუძლია მოისმინოს შენიშვნები, არადა, ამაში არაფერი ცუდი არ არის, პირიქით, რაც უფრო მეტს სცდით, უკეთესები იქნებით. ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე, უამრავი ახალი რამ შევიტყვე თქვენ მიერ წარმოდგენილი შესანიშნავი ნიმუშებიდან. გმადლობთ და მრავალი წარმატება მომელოცოს.

ქეთევან ტომარაძე: *მართლაც დიდი პატივია ამ კონკურსის ჟიურიში ყოფნა. ეს საკმაოდ შრომატევადი სამუშაო იყო, რადგან ორი თვის განმავლობაში ვეცნობოდით ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდების ფიქრის, განსჯის, სიტყვასთან ბრძოლის შედეგებს. ცხადია, სხვადასხვა ხარისხის იყო ეს შედეგი, სხვადასხვა ხარისხის იყო წარმოდგენილი ლიტერატურული ნაწარმოებები, მაგრამ ჩვენთვის მთავარი იყო თქვენი სურვილი, გააღრმავოთ ქართული სიტყვა, შეეჭიდოთ აზრს და ჩამოაყალიბოთ, დაინახოთ ცხოვრება და აღიქვათ ის მხატვრულად, ეს ძალზე სერიოზული და მნიშვნელოვანი პროცესია.*

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ წლების განმავლობაში ვაკვირდებით, როგორ იზრდებიან ეს ახალგაზრდები, ყალიბდება მათი მსოფლმხედველობა, მათი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. ისინი ცდილობენ ასახონ თავიანთი მეგობრები, საკუთარი ხედვა სამყაროსი – ეს ძალიან მნიშვნელოვანია. საინტერესოა ისიც, თუ როგორ ეძებენ საკუთარი ნააზრევის, ნაფიქრის, მათ მიერ დანახული ცხოვრების გადმოცემის მხატვრულ ხერხებს.

შეიმჩნევა კიდევ ერთი ტენდენცია – გაუცხოების, ლიტერატურული მისტიფიკაციის. ჩვენი ახალგაზრდები ცდილობენ მოქმედება სრულიად სხვა სამყაროში გადაიტანონ. ეს უწინ ნაკლებად იყო შესამჩნევი. წელს ეს მომენტი ძალზე გამოიკვეთა. ჩანს, როგორ გაფართოვდა ახალგაზრდების აზროვნების არეალი, როგორ ცდილობენ ისინი მოიცვან არა მარტო თავიანთი მეგობრები, არამედ უცხო ქვეყნის ახალგაზრდები. ცდილობენ თავიანთი ნაფიქრი უცხოელი თანატოლების ნააზრევს შეადარონ და საკუთარი დასკვნები გააკეთონ.

თითოეულ ჩვენგანს ჩვენი ფავორიტები გვყავდა, თუმცა, არ ვიცოდით ვის ნამუშევარს ვკითხულობდით. როდესაც გავხსენით, აღმოჩნდა, რომ ერთი და იგივე პიროვნება, უკვე მეორედ, ხდება კონკურსის გამარჯვებული – სალომე შენგელია. დიდხანს ვფიქრობდით, რა გვექნა – შეიძლება თუ არა ერთი და იმავე მონაწილეს პირველი პრემია მეორედ მივანიჭოთ. სრულიად ბუნებრივ დასკვნამდე მივედით – თუკი ნაწარმოები კარგია და კონკურსანტი იმსახურებს გამარჯვებას, რატომაც არა.

რა თქმა უნდა, კონკურსში მონაწილეობა კარგია, მაგრამ ძალიან კარგია ასევე ბრძოლის ჟინი, გამარჯვების ჟინი. ქართველებს გამარჯვების ჟინი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა. ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ და ბოლომდე მივიყვანთ დაწყებულ საქმეს, აუცილებლად გვექნება დემოკრატიული, თავისუფალი საქართველო, სადაც უფრო ლაღად, უფრო მაღალი დონის ნაწარმოებებს შექმნიან ჩვენი ახალგაზრდები.

თამარ მამაცაშვილი: *ამ ახალგაზრდების შემხედვარე, გვიჩნდება იმედი, რომ ის დეფიციტი, რაც დღეს ქართულ მწერლობაშია (რაც იმ ავბედითმა პერიოდმა მოიტანა), შეივსება და თქვენ იქნებით თაობა, რომელიც ამ დანაკლისს აანაზღაურებს.*

ერთი რამ მინდა ვთქვა (ამას, მგონი, ყოველ წელს ვიმეორებ) – თითოეული ჩვენგანი არის ძალიან გულწრფელი თქვენს შეფასებაში და როცა ამ კონკურსის ჟიურის წევრად მიწვევენ ხოლმე, ძალიან მომიხარია იმიტომ, რომ ვიცი, ეს კონკურსი თავისუფალია ყოველგვარი გავლენისგან, ნაცნობ-მეგობრობისგან. მინდა გჯეროდეთ, რომ ეს ნამდვილად ასეა და ყოველ წელს თქვენც მოგიხაროდეთ ამ კონკურსზე.

კონკურსანტებს შორის 14 ვაჟი და 26 გოგონა იყო. სულ საკონკურსოდ 80 ნამუშევარი იყო წარდგენილი. ყველაზე მეტი, 17 – ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, 6 – ტექნიკური უნივერსიტეტის და თითო-თითო – სხვა უმაღლესი სასწავლებლების. ერთ-ერთი მონაწილე – **ვიქტორ სულაქველიძე** შვედეთში, ლუნდის უნივერსიტეტის მაგისტრანტია. იყო ელექტრონული ფოსტით გადმოგზავნილი ნამუშევრები, რომელთა ავტორები არც დაჯილდოებას დასწრებიან, თუმცა, ორი მათგანი გამარჯვებულთა შორის დასახელდა.

ნომინაციებში გამარჯვებულები:

დოკუმენტურ-პუბლიცისტური – **ირაკლი შამათავა**, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკური თეორიის ფაკულტეტი, IV კურსი;

გმირის ხასიათში წვდომა – **ალექსანდრე ჭელიძე**, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, IV კურსი;

რეალისტური ხედვა – **მარიამ ბექაური**, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, IV კურსი;

დღევანდელობის სატკივარი – **ვიქტორ სულაქველიძე**, შვედეთი, ლუნდის უნივერსიტეტის მაგისტრანტი, I კურსი;

ჟიურის სიმპათია – **მარი მაკარაძე** (საკონკურსო ნამუშევარი ელფოსტით გადმოაგზავნა);

საუკეთესო ჩანახატი – **ხატია ღოღობერიძე**, (საკონკურსო ნამუშევარი ელფოსტით გადმოაგზავნა);

კოლორიტული აღქმა – **ია ჟღენტი**, ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტი, II კურსი.

ტევადი და სხარტი ფრაზა – **გრიგოლ ჩაჩუა**, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, IV კურსი.

პრიზიორები:

I პრემია – **სალომე შენგელია**, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, IV კურსი;

II პრემია – **თამარ გელაშვილი**, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებების ცენტრი, I კურსი;

III პრემია – **გურამ ღონღაძე**, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, სარეჟისორო ფაკულტეტი, II კურსი.

სალომე შენგელია: *მე ამ კონკურსის 2010 წლის გამარჯვებული ვარ. ნამდვილად არ ველოდი, თუ წელსაც გავიმარჯვებდი. მართლაც მოულოდნელი იყო და ძალიან მიხარია. ჩემს ნაწარმოებს ჰქვია „Exit“ – „გასასვლელი“ და აღწერს ერთი ქალის ცხოვრებას, ცოტა ოჯახურ ძალადობაზეც არის, რაც დღეს საკმაოდ აქტუალურია. ძალიან მიხარია და დიდი მადლობა ყველას.*

თამარ გელაშვილი: *შარშან მეც ვიღებდი მონაწილეობას კონკურსში და ერთ-ერთ ნომინაციაში გავიმარჯვე. ძალიან მიხარია, წელს მეორე პრემია რომ მივიღე. ჩემი მოთხრობა „მირანდა და აუტანელი მეტროს ვაგონი“ შეეხებოდა ტერორისტულ დაჯგუფებას. ერთი პატარა გოგონას ისტორიაა, როგორ განიცდის, მისი ძმა ამ ტერორისტულ დაჯგუფებაში რომ არის, რასაც ბოლოს მისი სიცოცხლეც კი ეწირება.*

ია ჟღენტი: *გავიმარჯვე ნომინაციაში „საუკეთესო კოლორიტი“. წარმოდგენილი მქონდა იუმორისტული მოთხრობა, სადაც აღწერილი იყო ჩემი მოგზაურობა გურიაში (წარმოშობით გურიიდან ვარ). ძალიან გახარებული ვარ.*

ინა ბერიძე, ეროვნული ბიბლიოთეკა: *ეს ჩემთვის ერთ-ერთი ულამაზესი ღონისძიებაა. ეს ბავშვები ისეთ ენერგიას, ისეთ ბრძოლას, ისეთ ბრძოლის ველს ავლენენ, ეს ასეთი ბავშვები, ეს ასეთი ბავშვები, ეს ასეთი ბავშვები... ეს ასეთი ბავშვები ... ეს ასეთი ბავშვები... ეს ასეთი ბავშვები... ეს ასეთი ბავშვები

რატომ ტირის ადამიანი

– რა გატირებს?
– რაღაც გამახსენდა.
– მაინც?
– აი, ეხლა ორმა კაცმა ჩამოიარა და რატომღაც გამახსენდა, რომ ამ კაცებმა ოდესღაც ზუსტად აქ ჩამოიარეს.
– მერე რა გატირებს?
– ხშირად მემართება ესეთი რაღაცები. ხშირად ვაკეთებ რაღაცას და რატომღაც მგონია, რომ ოდესღაც ეს უკვე იყო.
– ეგ მეც მემართება, რა არის მანდ სატირალი?
– რა და, მეშინია როდესმე კიდევ ასე რომ განმეორდეს ჩემი ცხოვრება.
– გინდა შენზე მოთხრობა დავწერო?
– არ მინდა.
– რატომ?
– შენს მოთხრობებში ყოველთვის კვდებიან.
– მერე შენ ამის არ გეშინია?!
– შენ არ გეშინია?!
– რისი უნდა მეშინოდეს?!
– დასასრულის.
– დასასრული არ არსებობს.
– როგორ თუ არ არსებობს?!
– ისე, რაიმეს დასასრულში ყოველთვის დასაწყისი დგას.
– მაშ, რატომ წერ ნაღვლიანად, როცა შენი მოთხრობის გმირები კვდებიან?
– რა ვიცი, მაინც მეცოდებიან.
– თუ გეცოდებიან მაშინ რატომღა კლავ?
– კვდებიან და რა ვქნა. წესით არ უნდა ვნაღვლობდე.
– რატომ?
– იმიტომ, რომ ყოველი არსი თვითონ ეძებს თავის დასასრულს. ესაა მიზანი, მაგრამ ხომ გითხარი დასასრული არ არსებობს-მეთქი.
– მაშ რატომ ტირიან ადამიანები?
– ეშინიათ და იმიტომ.
– რისი ეშინიათ?
– დასაწყისის. ვისაც არ ეშინია, ის არც ტირის.
– მაგრამ სხვა როცა ტირის სხვის სიკვდილს?
– თავის თავი ჰყავს მის ადგილას წარმოდგენილი. მკვდარი არ ტირის იმიტომ, რომ – სიკვდილი უკვე დასაწყისია.
– იქნებ მაგიტომ არ ტირიან?!
– მაშ, რატომ?
– შეიძლება სხვაგნიდან ვართ მოსული და რაკი ვეღარ წავედით ტირილითაც იმიტომ ვტირით, აქ რომ ვრჩებით.
– ეგ რამ გაფიქრებინა?
– ეკლესიებმა. ხედავ როგორ არის ზოგი აშენებული?! ცაში ასაფრენად გამზადებულ რაკეტას ჰგავს. ჩვენ შიგნით შევდივართ და ვლოცულობთ. რატომ? იქნებ ისევ ცაში ამაღლება გვინდა და რომ არაფერი გამოგვდის და მიწას ვაბარებთ ერთმანეთს? ვტირით...
– მაგრამ რატომ არ განმეორდა?
– რა?
– შენ ხომ თქვი, რომ შენში რაღაცები მეორდება. რატომ არ განმეორდა ციდან აქ მოსვლა?
– შეიძლება ოდესმე ისიც განმეორდეს.
– და თუ განმეორდა, მაინც იტირებ?
– არ ვიცი. მე საერთოდ არ ვიცი რატომ ტირის ადამიანი.
– იმიტომ რომ თავისუფლება უნდა.
– მერე აღარ იტირებს?
– არა. თავისუფალ კაცს დასაწყისისა არ ეშინია.
– დაწერე რა.
– რა?
– მოთხრობა დაწერე ჩემზე.
– შენც რომ შემომაკვდე ბოლოს?
– არა. იცი როგორ დაწერე?
– როგორ?
– ვიცხოვრე დედამიწაზე, დიდხანს ვიცხოვრე, დაახლოებით ას წელს.
– მერე?
– ამ ასი წლის განმავლობაში ხშირად ისეთ რაღაცებს ვაკეთებდი, რაც ოდესღაც გაკეთებული მქონდა.
– მერე?
– ერთ დღეს ციდან ოქროსფერი ხომალდი მოფრინდა. მე გამახსენდა, რომ ამ ხომალდს უნდა წავეყვანე. ჩავჯექი და წავედი ცაში. დაწერ?

* * *

დავწერე

გოდერძი ჩოხელი

„რაიმეს დასასრულში ყოველთვის დასაწყისი დგას“



* * *

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, 19 მაისს, გოდერძი ჩოხელის შემოქმედების თაყვანისმცემლებმა მოიყარეს თავი. ცნობილი ქართველი მწერლის, სცენარისტისა და კინორეჟისორის მემკვიდრეობა საკმაოდ მრავალფეროვანი ექსპოზიციით წარმოჩინდა – გოდერძი ჩოხელის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული წიგნები, მის შესახებ დაწერილი პუბლიკაციები, ფოტომასალა, რომელზეც აღბეჭდილია კადრები მისივე ფილმებიდან და სამუშაო პროცესის დროს გადაღებული ფოტოები, რომელიც პირველად ნახა დამთვალიერებელმა, უამრავი პრიზი, ასევე უცნობი საზოგადოებისთვის და მასალები მწერლის პირადი არქივიდან.

„ამქვეყნად მწერალზე ადრე არავინ ჭკნება თუ მას არ უსმენენ. მეც მინდა ისეთი მწერალი ვიყო, თუნდაც ერთ ადამიანს მაინც არ დავუჭკნე საქართველოში“ – ბუნებრივია, ამ სიტყვების ავტორს, ალბათ, აღაფრთოვანებდა გამოფენაზე თავმოყრილი მისი თაყვანისმცემლები რომ ენახა, რადგანაც საქართველოში ერთი კი არა ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა, ვისთვისაც მწერალი „არ დაჭკნა“... სევდიანი მუსიკის ფონზე გოდერძი ჩოხელის შემოქმედებით გადმოცემულმა „ადამიანთა სევდამ“ მისი მრავალრიცხოვანი მკითხველისათვის წამიერად მაინც გააკეთილშობილა „კაცთა მოდგმა“ , რომელიც „თანდათან მგლების ხროვას ემსგავსება“ და დედამიწა, როგორც მწერალი იტყოდა: მისი სულის გარშემო დაატრიალა – „დედამიწა არის მზითა და მთვარით განათებული დიდი წიგნი, სადაც უამრავი ცოცხალი მოთხრობა დადის“ – გამოფენამ უსათაუროდ დარჩენილი ბევრი „მოთხრობა“ შეგვკრიბა – *„ახლა ყველა ადამიანი მოთხრობაა. იმწუთშივე წარმოვიდგენ, რომ მოთხრობა ხარ და სათაურს გამოგიძებნი“* – იქ მისულები ჩვენივე სათაურზე დაგვაფიქრა.

გამოფენა გახსნა ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის უფროსმა **ემზარ ჯგერენაიამ:** *„მაქვს პატივი გავხსნა დღევანდელი ღონისძიება, გამოფენა, რომელიც ეძღვნება ცნობილ ქართველ რეჟისორს, მწერალს, მრავალმხრივ ადამიანს გოდერძი ჩოხელს, მის შემოქმედებას. მე არ გახლავართ არც ლიტერატურის კრიტიკოსი და არც კინომცოდნე და, დაახლოებით, იმდენი ვიცი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებაზე, რაც თითოეულმა თქვენგანმა, მაგრამ გავბედავ და ჩემს მოსაზრებას გეტყვით. თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკას, ფილოსოფიას და გნებავთ სოციოლოგიასაც აქვს ერთი საერთო ნიშანი – კრიტიკოსებს და ინტელექტუალებს ძალიან უყვართ ერთმანეთს დააშორონ ადამიანის პირადი გამოცდილება (ბიოგრაფია და ცხოვრება) მის შემოქმედებას და ადამიანის შემოქმედება განიხილონ მისი ბიოგრაფიიდან, განცდებიდან და ემოციებიდან განყენებულად. ეს სტრატეგია, ჩემი აზრით, სწორი არ არის, განსაკუთრებით კი ისეთი შემოქმედი ადამიანების ნაღვაწის გასაგებად, როგორიც გახლავთ გოდერძი ჩოხელი, რომლის ცხოვრება და ხელოვნება არის ერთიანი მთლიანობა – მის მიერ სამყაროს ემოციური განცდა და ეს გადატანილი ფილმში არის ერთი მთლიანი დიდი ადამიანი დატვირთული თავისი უნარებით, გენიალობით, ნიჭით. გოდერძი ჩოხელის შემთხვევაში, ეს არის სიტყვა გადმოტანილი კინოში და კინო გასიტყვებული, რაც შეიძლება ზოგადად არა, მაგრამ ქართული სინამდვილისთვის ნამდვილად იშვიათია. მისი რამდენიმე ინტერვიუ მაქვს წაკითხული, სადაც წერს, რომ ჯერ კინოს იღებს და მერე წერს ტექსტს, მაგრამ ეს, ალბათ, პარალელური პროცესი იყო. სამყაროს – ყველაფერს – ხედავდა ფერებში. როცა ვამბობთ სიტყვას – ყველაფერს, არც ერთ ენაში ფერს ასეთი დატვირთვა არ აქვს, როგორც ქართულში. კინო და მხატვრობა არის ის, რაც ფერებით გადმოსცემს სამყაროს, ჩვენი სიტყვები, ჩვენი ქართული ენა ასე მეზობლობს ფერებთან და მთელი სამყაროს ხატოვან აღქმასთან. ეს არ არის პრიმიტიული კულტურა, ეს ჩვენი კულტურის სპეციფიკური ნიშანია – სამყაროს ფერებით განცდა და გაგება. დღეს ჩვენ გვაქს ბედნიერება, გოდერძი ჩოხელის შემოქმედება ვიხილოთ მთლიანად: მისი პიროვნებით, გამოცემული წიგნებით, სურათებით და ა.შ. და მთლიანობაში აღვიქვათ ადამიანი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ქმნიდა და ამდიდრებდა ხელოვნებას. არ შემიძლია განსაკუთრებული მადლობა არ ვუთხრა ნინო წიკლაურს, რომელიც ამ ღონისძიების ორგანიზატორია, ეს საღამო მისი ჩანაფიქრია.“*

მაია წიკლაური, მწერალი: *„პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საღამოს ორგანიზატორებს. ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ ბოლო დროს მზარდი ინტერესი იგრძნობა ამ მწერლისადმი. მისი შემოქმედება ამას მართლაც იმსახურებს, რადგან ძალიან ქართული, ეროვნული, ფოლკლორზე დაფუძნებული, სუფთა ქართულით დაწერილი და ზნეობის მაგალითის ნიმუშია.*

გოდერძი ჩოხელის შემოქმედება ერთი მთლიანობაა, მხედველობაში მაქვს მისი მწერლობა, კინორეჟისურა და დრამატურგია. მან ძალიან ბევრი სიახლე შემოიტანა ქართულ მწერლობაში, ლიტერატურაში და ქართულ კინოშიც, რა თქმა უნდა. სამწუხაროდ, ვფიქრობ, კინომ უფრო მეტად და სწრაფად დააფასა ეს ღვაწლი, ვიდრე ლიტერატურამ, ამიტომაც აუცილებლად უნდა შევავსოთ ეს.

გოდერძი ჩოხელი, ერთი შეხედვით, ძალიან უბრალოა (ყველაფერი გენიალური ხომ უბრალოა), ამიტომაც მისი აღქმა უბრალოდ არ შეიძლება, არის ძალიან ღრმა, მისი შემოქმედება უფრო ფილოსოფიური დღიურებია, ვიდრე მხოლოდ ლიტერატურა. ძალიან კარგია, დღეს ასეთი ღონისძიება რომ მოეწყო და კიდევ უფრო სასიამოვნოა, როცა ამას ახლგაზრდა თაობა აკეთებს. მინდა წარმატება ვუსურვო ამ გამოფენას და ბევრი გამოხმაურება.“

ზაზა აბზიანიძე, მწერალი: *„ერთსა და იმავე დროს ძალიან სასიხარულო და გულსატკენი მიზეზი გვაქვს დღევანდელი შეკრებისა. არიან მწერლები, რომელთა წიგნიც კვდება, იმავე დღეს, რა დღესაც მისი ავტორი მიდის ამქვეყნიდან. გოდერძი ჩოხელის შემთხვევაში კი პირიქით მოხდა, იმიტომ კი არა, რომ მას სიცოცხლეში მკითხველი აკლდა, მაგრამ მისმა წასვლამ რაღაცით აგრძნობინა ქართველ მკითხველს, რომ ეს აუნაზღაურებელი დანაკარგია – მისი პირადი ნაცნობობის სურვილი ყველამ გადაწყვიტა აუნაზღაურებინა მისივე ლიტერატურის ნაცნობობით, მის წიგნებთან, მის ნაწარმოებებთან მიახლოებით.*

შეგიძლიათ მენდოთ, როგორც კრიტიკოსს და როგორც გამომცემელს, რომ გოდერძი ჩოხელი არის ერთ-ერთი იმ მწერალთაგანი, რომლის წიგნის ტირაჟები ჩვენნაირი პატარა და, გულწრფელად ვთქვათ, გაჭირვებული ქვყენისთვის, არის სრულიად გამაოგნებელი. ეს არის მისი მწერლური ღირსების გამოხატულება მკითხველისაგან.

ყველაზე მთავარი, რაც მას უნდოდა ეთქვა, მე ასე მგონია, იმ განსხვავებულ მსოფლაღქმაშია, რომელიც საერთოდ არ ახასიათებს ქართველ ადამიანს ან იშვიათად და რასაც რეფლექსი ჰქვია. ამ სიტყვის ადეკვატური ქართული სიტყვაც არ გვაქვს, ძალიან სიღრმისეულ, ტკივილიან დაფიქრებას გულისხმობს ცხოვრებაზე. ჩემთვის, საზოგადოდ, ყველაზე საყვარელი რომანის – „ადამიანთა სევდა“ – დასასრულს შეგახსენებთ: „რა არის სიცოცხლე? სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა. რა არის სიკვდილი? სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არ ყოფნის სევდა.“ ამ რომანის ფინალი გამოდგებოდა ეპიგრაფად მისი ცხოვრებისა. აი, ამ სევდით იყო გაჟღენთილი მისი ცხოვრება, აი, ამ ტკივილმა დაღარა და გამოძერწა მისი იერი, არა მარტო გარეგნული, არამედ მისი ლიტერატურული იერი. ამ სევდიანმა ცხოვრებამ, ამ არაჩვეულებრივმა ბიოგრაფიამ, მისი სიკვდილის შემდგომ, დიდი სიხარული მოგვიტანა. მისმა სევდამ გვასწავლა, შეიძლება ითქვას, ზნეობრივი მაგალითი მოგვცა, რომ არ შეიძლება ადამიანი ყოველთვის კარგ ხასიათზე იყოს და ხანდახან, თავისთავთან მარტო დარჩენილმა, უნდა იფიქროს იმაზეც, რომ ვიღაც ძალიან სევდიანი კიდევ ცხოვრობს ამქვეყანაზე. მის შემოქმედებასთან მიბრუნება ყოველთვის იქნება ძალიან ღრმა და ადამიანისათვის ყველაზე სათუთ საგანთან, მოვლენასთან მიბრუნება და ამ მოვლენას – სევდა და ტკივილი ჰქვია.“

პრიზების არასრული ჩამონათვალი, რომელსაც, როგორც მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ნინო ჩოხელმა გვითხრა, არაფრად თვლიდა:

– „ცოდვის შვილები“, 1989 წელი – 1990 წელს მონტე-კარლოს კინოფესტივალზე ვერცხლის ნიმფა და საერთაშორისო კათოლიკური ეკლესიის პრიზი;

– 1991 წელს იაპონიაში ჰიროსიმას საერთაშორისო სატელევიზიო ფილმების კინოფესტივალის ჟიურის მშვიდობის სპეციალური პრიზი.

„თქვენმა ნამუშევარმა სხარტად გამოხატა ის, რასაც ეფუძნება ერებს შორის წინააღმდეგობა, კონფლიქტი და ამით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე, რის გამოც გადაეცემა ეს პრიზი.“ – სატელევიზიო ფილმების მე-7 ფესტივალი, ჰიროსიმას მშვიდობისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე;

–1991 წელი – დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სახელმწიფო პრემია „ოქროს არწივი“; საუკეთესო სცენარისთვის ჟიურის სპეციალური პრიზი;

–1992 წელი – კინოფესტივალი „ოქროს არწივი“ – პრიზი საუკეთესო სცენარისათვის, ფილმი „ცოდვის შვილები“;

– 2009 წლის 30 ოქტომბერი – მართლმადიდებლური ფილმების მე-4 საერთაშორისო ფესტივალი, „წმინდა ანდრიას ჯვარი“; „სიტყვით ცოცხალი რწმენის მქადაგებელი, წუთისოფელში მარადიულობის აღმსარებელი, ორთავე სოფლის სევდისა და სიხარულის მოზიარე...

საქართველოს უკვდავებისათვის მავედრებელი გოდერძი ჩოხელი ჯილდოვდება ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ანდრიას ჯვარი.“

– „ლუკას სახარება“, 1998 წელი – ანაპის ფესტივალი „კინოშოკი“, პრიზი საუკეთესო სცენარისთვის;

– 1999 წელი, მართლმადიდებლურ კინოფესტივალზე – რუსეთის პატრიარქის ალექსეი მეორის მიერ დაწესებული პრიზი;

– „სამოთხის გვრიტები“ – მთავარი პრიზი „ლისტაპად“;

– „ადგილის დედა “ – 1982 წელი, გერმანია, ობერჰაუზენი

– მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალის გრან-პრი (საქართველოში ფილმის მხოლოდ ერთი ასლი ინახება, ფირს სოკო აქვს და მთლიანად დაზიანებულია).

* * *

მის ხელნაწერებში ვკითხულობთ:

„რატომღაც მგონია, რომ ლექსის ამოთქმა, უპირველესად, მოყვასისა და ღმერთის წინაშე ლოცვაა, ამ ლოცვის დროს პოეტები გულსა და სულს ანთებენ სანთლად და ამ სანთლის ალთან წარმოთქმული ლოცვა იმდენად ანათებს, რამდენადაც მოყვასისა და ღმერთის წინაშე მსხვერპლად შემწირველთა მთქმელის გული და სული. ძალიან მინდა ჩემგან წარმოთქმულმა ამ „ლოცვებმა“ ცოტათი, სულ მცირედ მაინც, გაგითბოთ გული. ამით მე მართლა, ძალიან ბედნიერი ვიქნები.

მოკრძალებით და სიყვარულით გოდერძი ჩოხელი“.

ეს ლექსი კი მკითხველისათვის უცნობია, აგვისტოს ომის დროს მწერლის მამის სახლში ჩასულმა ოჯახის წევრებმა იპოვეს და სავარაუდოდ, ის გოდერძი ჩოხელის მოსწავლეობის ან სტუდენტობის დროსაა დაწერილი:

ჩემო საქართველოვ, შენ რომ გეკადრება

ძარღვში წინაპართა სისხლი მიჩქრიალებს,
უქმად ვერ ისვენებს, დაღვრას ეხარბება,
გვარად ჩოხელი ვარ, ჯიში მაქვს ეგეთი,
ჩემო საქართველო, შენ რომ გეკადრება.
ძარღვში წინაპართა სისხლი მიჩქრიალებს,
დღეს წმინდა ქართული სხვა რა მაბადია.
ოღონდ სამშობლოსთვის, ოღონდ სამშობლოსთვის,
პირველი იცოდეთ ჩემი სიკაცეა.
ძარღვში წინაპართა სისხლი მიჩქრიალებს,
რაღაც მაწვალებს და ფიქრში ვარ ჩართული.
რაღაც იგვიანებს, ვიღაც იგვიანებს,
და მაინც ბევრი გვაქვს ქართველებს ქართული.
ძარღვში წინაპართა სისხლი მიჩქრიალებს,
უქმად ვერა სძლებს და დაღვრას ეხარბება,
ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს ქართველებს ქართული,
ჩემო საქართველოვ, შენ რომ გეკადრება!

ნინო ჩოხელი, გოდერძი ჩოხელის მეუღლე: *„საჯარო ბიბლიოთეკამ მოანყო ეს გამოფენა, ძალიან სასიამოვნოა და ჩემთვისაც სიურპრიზი იყო გოდერძის ერთად თავმოყრილი შემოქმედების ნახვა: მისი ფილმებიდან ფოტოები, პრიზები, არის წიგნები ბიბლიოთეკის ფონდიდან, ასევე თარგმანები, ხელნაწერები. ვფიქრობ, ვისაც გოდერძის შემოქმედება აინტერესებს, ეს გამოფენა მათთვის ძალიან შთამბეჭდავი იქნება. აქ წარმოდგენილი მასალებიდან ნაწილი ჩვენი ოჯახის საკუთრებაა. გაიმართება ფილმის ჩვენება და განხილვა. დღევანდელ ღონისძიებას ასეთი შემეცნებითი ხასიათი აქვს და ვფიქრობ, რომ ესეც ძალიან მნიშვნელოვანია ლიტერატორებისთვის, კრიტიკოსებისთვის, ახალგაზრდებისთვის. ვიცი, რომ არის ინტერესი, ხშირად ოჯახშიც მოდიან ჩვენთან და ათვალიერებენ მის პრიზებს, ფოტოებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გვაქვს იმის საშუალება, რომ ყველაფერი გამოვფინოთ ბინაში, სადაც ვცხოვრობთ. გამოუქვეყნებელი არაფერი დარჩენია. აქ არის ერთი ლექსი, რომელიც მკითხველისთვის უცნობია (ერთხელ დაიბეჭდა ერთ-ერთ გაზეთში). 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს ვიპოვეთ ფასანაურში, გოდერძის მამის სახლში. ლექსი ძალიან ძველ ფურცელზეა დაწერილი, ეტყობა, მოსწავლეობის დროს. ძალიან პატრიოტული ლექსია „ჩემო საქართველო, შენ რომ გეკადრება“. ამ ლექსმა ომის დროს განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე.*

შვილები არც ერთი არ გაჰყვა მამის გზას. ლუკამ ითამაშა მის ფილმში „ლუკას სახარება“, ნიკოლოზიც მონაწილეობდა ამ ფილმში, ასევე „მიჯაჭვულ რაინდში“, მაგრამ საბოლოოდ არც ერთი ხელოვნებას არ გაჰყვა. თუმცა, არც გოდერძის არ უნდოდა, შვილები ხელოვნებას გაჰყოლოდნენ, რადგან თვლიდა, რომ ძალიან რთულია ხელოვანის ბედი.

როგორი იყო გოდერძი? როცა ამ კითხვას მისვამენ ხოლმე, პირველი, რაც მომდის თავში, ეს არის მისი სიმართლე. ძალიან მართალი ადამიანი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული აზროვნება ჰქონდა, ტყუილის თქმა არაფრით არ შეეძლო.

კინოგმირებიდან ძალიან მოსწონდა და აფასებდა ზურაბ სტურუას, სულ განიცდიდა, რომ ზურამ ასეთი როლი ითამაშა „ლუკას სახარებაში“, ამბობდა: ეს აუცილებლად იმოქმედებდა მასზეო, არადა ძალიან კარგად ითამაშაო. კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი და კარლო საკანდელიძე მისი უსაყვარლესი მსახიობები იყვნენ, ნინო ჩხეიძეს იღებდა სულ თავის ფილმებში. თავის ნაწერებიდან გამორჩეულად „ადამიანთა სევდა“ უყვარდა – ვაჟი გოგი მისი საყვარელი პერსონაჟია, გამიხარდას დარდების შემგროვებელი. შეიძლება სულ უმნიშვნელო გმირი ყოფილიყო, ჩვენთვის შეუმჩნეველიც კი, მაგრამ მას განსაკუთრებით ჰყვარებოდა.

გოდერძის რამდენიმე მოთხრობაში: „დავიწყების მდინარე“, „თხილობის ღამე“, „ვარდისფერი კაცი“ – ისეთი ადამიანები ჰყავს პერსონაჟებად, რომლებიც განსხვავებულები არიან საზოგადოებისაგან, ამქვეყნად იმისთვის მოდიან, რომ სხვას გაულამაზონ ცხოვრება, თუმცა მათ საზოგადოება – წუთისოფელი არ იღებს, ან კლავს, ან იშორებს... ეს გმირები ძალიან უყვარდა გოდერძის, მეც ძალიან მიყვარს, რადგან მათში, თითქოს, თავად გოდერძის ვხედავ. მისი ცხოვრებაც ხომ ასე დასრულდა.“

ნინო წიკლაური, ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის კულტურის პროგრამების განყოფილების თანამშრომელი: *„გამოფენაზე წარმოდგენილია გოდერძი ჩოხელის წიგნები ბიბლიოთეკის ფონდებში თავმოყრილი, ასევე, მის შესახებ დაწერილი წიგნები და პუბლიკაციები, მისი პირადი ნივთები, პრიზები, რომელიც საზოგადოებისთვის უცნობია. ასევე წარმოდგენილია მწერლის ხელნაწერები. ჩვენ ვითანამშრომლეთ ოჯახთან, რომელიც დაგვეხმარა ამ გამოფენის მოწყობაში. დღესვე გაიმართა ფილმის „ადამიანთა სევდა“ ჩვენება, მოწვეული გვყავს ბატონი ოთარ პირტახია, რომელმაც ფილმის შესახებ დისკუსია გამართა.“*

„კაცის ნასახლარს ნუ მანახვებ და ნუ გახდება საქართველო ნახევრის ნახევარი და შენ, კუზიანო დედამიწავ, რამდენიც გენებოს, იტრიალე!“ – გოდერძი ჩოხელის ეს ტკივილიანი ფრაზა, აბა, როდის შეიძლება გაცვდეს, როდის შეიძლება მივიწყებას მიეცეს, მით უფრო დღეს „გამიხარდას“ დარდების შემგროვებლებს „დარდების“ შემგროვებლებმა რომ გადააჭარბა. მისი შემოქმედება მართლა ზნეობრივი მაგალითია ახალგაზრდებისთვის, რომელთაც ჯერ კიდევ „სული არ ამღვრევიათ“ (*„ბავშვები სუფთა იბადებიან, ადამიანებს მერე ემღვრევა სული“*)... და მისი ერთ-ერთი ზღაპრის – „ცასწასვლას“ პაწაწინა ჩიტივით, მაღლა, ცისკენ იყურებიან. ცაში აფრენას ნატრობენ. ჩიტივით, რომელიც, თითქოს, დასცინის სიმდიდრის მოხვეჭის დაუოკებელი სენით შეპყრობილ ადამიანებს. *„მეტნაკლებად ყველას გვაქვს ცაში წასვლის სურვილი... ზოგი ვამჟღავნებთ, ზოგი გულში ვიმარხავთ სამუდამოდ.“*

მწერალი, რომელიც ჩემს მეხსიერებაში ჯერ კიდევ ბავშვობაში, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე (მაშინ, როცა მისი აღნიშვნაც იკრძალებოდა), ტელევიზიით ნაჩვენები ფილმით – „აღდგომა“ შემოვიდა და დამკვიდრდა, როგორც „ადამიანთა სევდის“ – ადამიანის ცხოვრების დანიშნულების საუკეთესო მთხრობელად, შიშველ განცდებად, რომელსაც დაფარვა არ სჭირდება. მისმა „ფილოსოფიურმა დღიურებმა“ სიკვდილის ღირსებები დაგვანახა: *„სიკვდილი ისევე ალამაზებს სიცოცხლეს, როგორც მზე და მთვარე ალამაზებს წყვდიადს“.* მწერლის მეგობარმა ტარიელ ხარხელაურმა ეს განცდა მისადმი მიძღვნილი ლექსით გამოხატა: *„როგორ ლამაზი გახადე შიში სიკვდილის ცნებისა“.* და უფრო მეტიც, გამოფენამ კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა, რომ: *„სანამ ცოცხალი ხარ, არ მოკვდები და თუ მოკვდი, მერე რისღა უნდა გეშინოდეს. სიკვდილს იქით ხომ კიდევ უფრო დიდი სიცოცხლეა“, „...და შენ, კუზიანო დედმიწავ, რამდენიც გენებოს, იტრიალე!“.*

გამოფენას სხვაგვარად ვერ შევაფასებ, წერილს ისევ მწერლის სიტყვები დაასრულებს, როგორც დაიწყო: *„ეს ჩემი სულის ლოცვებია, სიმარტოვეში დავწერე, მინდოდა რაღაცით გამეთბეთ. ღმერთო შემინდე. ისე ვილოცე, როგორც შევძელი“.*

ლალი ჯელაძე

ნააზრევი

შალვა ამონაშვილი

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი

ღირსებისა და მსახურების საგანძური

ამონარიდი

ყველას, ვისაც თავი ჰუმანური პედაგოგიკის რაინდად მიაჩნია, ავტორი სთავაზობს ღირსებისა და მსახურების საკუთარ ზანდუკს, თავის შეხედულებებს ცნობიერების გაფართოებისა და ცხოვრების წესის შესახებ.

* * *

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდის გზა
მძიმეა, რადგან მხოლოდ ერთ ბავშვზე
ზრუნვაც კი, მთელ კაცობრიობაზე,
საკაცობრიო ყოფიერების სულიერ-
ზნეობრივ საწყისებზე ზრუნვაა.

* * *

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი
არის განათლების სამყაროში ნათლის
მეომრის
ზნეობრივი და ეთიკური იდეალი.

* * *

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი
არის ის, ვისაც სურს ასეთი გახდეს და
შეგნებულად,
შემოქმედებითად, ერთგულად მიჰყვება
ჰუმანური პედაგოგიკის
მცნებებსა და იდეებს.

* * *

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდობას
თითოეული თავად უძღვნის თავს და
უხარია, ასეთი გზა რომ აირჩია.

* * *

რაინდო,
რას ემსახურები?
ბავშვს, ბავშვებს, ბავშვობას!
რაინდო,
რა მიგაჩნია ყველაფერზე მნიშვნელოვნად?
ბავშვების სწრაფვა ნათლისაკენ!
რაინდო,
რა ძალას გრძნობ შენში?
ჩემში სიყვარულის ძალაა!
რაინდო,
რა ძალა გამოძრავებს?
ღვთის ნება!

* * *

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი
მიისწრაფვის თვითსრულყოფისაკენ,
ნიადაგ ფიქრობს და
ეძებს პასუხებს კითხვებზე:
– რა არის სიცოცხლე და ვინ მომცა
სიცოცხლის უფლება?
– რატომ ვარ აქ და რა არის ჩემი ცხოვრების
საზრისი?
– რა არის ჩემი მისია და რისთვის ვარ
პასუხისმგებელი?
– ვის წინაშე ვაგებ პასუხს?
– მზად ვარ თუ არა, მონაწილეობა მივიღო
ადამიანთა ცხოვრების ევოლუციაში?
– რა ვარ მე დიდ კოსმოსურ ერთიანობაში –
უსაზღვროებასა და მარადიულობაში?
– სად არის ჩემი ადგილი ამ დიდ
ერთიანობაში?
– როგორ მომავალს ავირჩევ ჩემთვის?
– ვარ თუ არა მზად, ვიყო ღმერთთან,
ღმერთში, ღმერთის ნაწილი?

იგი ზრდის თავის შინაგან სამყაროს
სულიერების ნიშნით.

ზანდუკიდან
მასწავლებელო!
განა შენს ხელში არ არის ბავშვების ბედი,
პლანეტა დედამიწის ბედი?
არ მიიჩნიო თავი პატარა ადამიანად,
იმად, ვისზეც ბევრი არაფერია
დამოკიდებული.
არ დაიმცირო თავი
და ღმერთი აღგამაღლებს და დალოცავს
შენს შრომას.

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდს
ღრმად აქვს გაცნობიერებული:
– სულიერი ჰუმანიზმის,
– ბავშვში ცხოვრების საშუალებით
ცხოვრების აღზრდის,
– ადამიანის ცხოვრებისეული მისიის,
– თავისუფალი არჩევანის,
– შემოქმედებისა და თანამშრომლობის,
– სულიერი თანაზიარობის,
– მსახურებისა და ერთგულების იდეები.

ყოველივე ამას შემოქმედებითად
ახორციელებს იგი ბავშვებთან მუშაობაში.

* * *

ზანდუკიდან
ჰუმანური პედაგოგიკის შექმნა შეუძლია
მხოლოდ ჰუმანური სულიერების მქონე
ადამიანს.
იგი არ იქმნება მხოლოდ ინტელექტით;
ინტელექტი უნდა გაატარო კეთილ გულში,
რომ მიიღო კეთილი და ხალისიანი
პედაგოგიკა.

* * *

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი
წარმოდგენათა სულიერი საზრისის
საფუძველზე იფართოებს ცნობიერებას,
რაც ავსებს მის პედაგოგიურ აზროვნებას:
– სკოლა მოზარდის სულისა და სულიერების
აღმასვლის კიბეა და იგი თვითონ
მასწავლებელშია.
– მასწავლებელი ნათლის მომძღვნელი
გულია.
– მოსწავლე ნათლის მძებნელი გულია.
– აღზრდა სულიერების ღერძის სახეებით
კვებაა.
– განათლება ბავშვისათვის საკუთარ თავში
შემოქმედის აღმოჩენაში დახმარებაა.
– ბავშვი ახალი ყოფიერების აღორძინებაა.
– ბავშვები ჭეშმარიტებაში მცხოვრები
ხალხია.
– ჰუმანურია ისეთი ადამიანი, რომელმაც
შეიცნო თავისი უკვდავების არსი.
– ჰუმანური პედაგოგიკა არის
თვითშემმეცნებელი პიროვნების
ჩამოყალიბების მეცნიერება და ხელოვნება,
აზროვნებს და მოქმედებს სულიერების
განზომილების შესაბამისად.

* * *

ზანდუკიდან
გზის ერთი მონაკვეთი შენ თუ ისე გაიარე,
რომ წინააღმდეგობას არ წაწყდომიხარ,
მაშინ ეს უტყუარი ნიშანია იმისა,
რომ ეს შენი გზა არ არის!
შენი გზა არის მხოლოდ ის,
სადაც შეხვდები სიძნელეებს და მათი
დაძლევა
მოითხოვს შენგან მთელი ძალების დაძაბვას.

* * *

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი
თვალისჩინივით უფრთხილდება და ინახავს:
– სულიერებასა და რწმენას;
– კეთილშობილებასა და სულგრძელობას;
– თავდადებასა და სიმამაცეს;
– გულკეთილობასა და გულწრფელობას;
– სიბრძნესა და ოსტატობას,
– შემოქმედებასა და სრულყოფილებას;
– სიყვარულსა და სიკეთეს.

მისი ცხოვრების დევიზია:
„გიყვარდეს, რასაც აკეთებ და ის აკეთე,
რაც გიყვარს!“

* * *

ზანდუკიდან
– რაინდო, სად არის შენი შური?
– *დავწვი.*
– მესაკუთრის გრძნობა?
– *დავმარხე.*
– სიძულვილი თუ არის შენში?
– *უგ ზოუკვლოდ გადავკარგე.*
– ქვენა გრძნობები?
– *გაქრა.*
– გაღიზიანება?
– *გარდავსახე.*
– რაღა დარჩა შენში?
– *სუფთა სული სიყვარულისთვის.*

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდმა
იცის, რომ თანამედროვე ბავშვები
სინათლის ბავშვები არიან,
ისინი დაიბადნენ იმიტომ, რომ
დაამკვიდრონ დედამიწაზე ნათლისაკენ
სწრაფვა.
ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი ეხმარება
მათ,
რომ შეიცნონ თავიანთი თანაზიარება
ორ სამყაროსთან:
უზენაეს სამყაროსთან და მიწიერ
სამყაროსთან.
ავითარებს მათში სივრცულ აზროვნებას,
ასწავლის ცხოვრებას
დედამიწის ზნეობრივ-სულიერი კანონების
მიხედვით.

* * *

ზანდუკიდან
ჰუმანური პედაგოგიკა ლურჯი
ფრინველივითაა –
ვიცით, რომ არ არსებობს ასეთი ფრინველი,
მაგრამ გვწამს, რომ იგი არის.
მისი სილამაზე გვიტაცებს,
მისი ძებნა კი შემოქმედებას ბადებს.
და ვხედავთ:
თურმე ჰუმანური პედაგოგიკის ძიება
თვითონ ყოფილა ჰუმანური პედაგოგიკა.

* * *

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდს
ღრმად სწამს:
– სიყვარული არის ყოვლის საწყისი
შემოქმედებითი ენერგია,
რომელიც ღვთისგან მოედინება.
– სამყარო სიყვარულის ენერგიაზე დგას და
იგი დაინგრევა,
ეს ენერგია თუ გაქრა.
– ყოვლის საწყისი სიყვარულის ენერგია
დედამიწაზეშეიძლება გამოვლინდეს
მხოლოდ ხალხში, მხოლოდ თითოეულ
ადამიანში.

* * *

ზანდუკიდან
ადამიანი რწმენის გარეშე,
ეს არის ადამიანი სკაფანდრში,
რომელიც ღია კოსმოსშია გატყორცნილი.

* * *

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდმა
იცის, რომ:
ადამიანებს თაობიდან თაობამდე
სჭირდებათ შექმნან დედამიწის გარშემო
სიყვარულის გარსი, განმსჭვალონ
სიყვარულით უკლებლივ ყველაფერი:
ცოცხალი და არაცოცხალი,
ხილული და უხილავი,
თავიანთი აზრები და გრძნობები, საქმენი და
ურთიერთობანი.

* * *

ზანდუკიდან
ჰუმანური პედაგოგიკა შეიძლება
არსებობდეს
მხოლოდ როგორც მასწავლებლის სულიერი
მდგომარეობა.
იგი განსაკუთრებული მეცნიერებაა:
პიროვნული, ერთადერთი,
მიმნდობი,
რომელიც უფრო მეტად გრძნობებით
გამოიხატება, ვიდრე სიტყვებით.
მასში გამოხატულებას პოულობს
მასწავლებლის ყველა საუკეთესო სულიერი
და
ბუნებრივი საწყისები,
მასში აღსრულდება მისი კეთილი და
ამაღლებული
ცხოვრება.

* * *

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი
ღრმად განიცდის იმ სინამდვილეს,
სადაც საგანმანათლებლო სამყარო იტანჯება
ყოვლის საწყისი სიყვარულის ენერგიის
ნაკლებობით.
ამიტომ ცდილობს საკუთარი მაგალითით
გაიყოლიოს კოლეგები,
ამრავლოს და გააძლიეროს
სიყვარული ბავშვებისა
და საკუთარი პროფესიისადმი,
გააფაქიზოს და სრულყოს იგი
პედაგოგიური პროცესების შესრულების
ხელოვნებით.

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდმა
კარგად იცის გულის, როგორც ადამიანთა
საკეთილდღეოდ ცხოვრების საფუძვლის,
აღზრდის მნიშვნელობა.
იგი აფუძნებს გულის გაკვეთილებს,
სადაც მოსწავლეები გულით ცხოვრებას
სწავლობენ,
აღმოაჩენენ საკუთარ თავში სულიერ მზერას,
აკეთილშობილებენ გრძნობებს,
ავითარებენ გრძნობათმცოდნეობას,
მიისწრაფვიან სიკეთისაკენ;
იგი გულის ენით ასწავლის მეცნიერებას;
იგი დღენიადაგ აფაქიზებს საკუთარ გულს,
ამაღლებს მასში სიყვარულსა და
პედაგოგიურ სიბრძნეს.

ზანდუკიდან
– რაინდო, რა არის თქვენი მიზანი?
– *კეთილშობილი ადამიანის აღზრდა.*
– კი, მაგრამ, როგორ შეეგუება იგი იმ
ცხოვრებას,
სადაც ასე ცოტაა კეთილშობილება?
– *იგი კი არ შეეგუება ცხოვრებას,*
არამედ გააკეთილშობილებს და აღამაღლებს
მას.
– ეს ხომ წყვდიადის წინააღმდეგ ბრძოლა
იქნება?
– *დიახ და ეს მას კარგად ექნება შეგნებული.*
– შეძლებს იგი ამას?
– *ის იქნება ნათლის მხედარი,*
რომელიც მიისწრაფვის გამარჯვებისაკენ.

* * *

ზანდუკიდან
ჩვენ უნდა აღვმართოთ საკუთარ თავში
განათლების წარმოსახვითი აზრის ტაძარი,
ამაღლებული თაღებით,
ღვთაებრივი ფრესკებითა და
ანთებული კელაპტრებით
და ჩავასახლოთ მასში ჩვენი სული,
გული და აზრი.
მერე კი უნდა ვისწრაფოთ,
რომ ეს ტაძარი,
ჩვენს პედაგოგიურ ცხოვრებად იქცეს.

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი
საკუთარ პედაგოგიურ მსოფლმხედველობას
საფუძვლად უდებს იმ შეგნებას, რომ
სულიერი და მატერიალური
ერთი მთლიანობაა,
სადაც წამყვანი საწყისი
სულიერებაა.
ამ საფუძველზე აგებს იგი
თავის შეხედულებებს
საგანმანათლებლო სამყაროზე,
აფასებს
საგანმანათლებლო სინამდვილეს,
ქმნის საგანმანათლებლო პრაქტიკას.

* * *

ზანდუკიდან

რაც თავში არ გაქვს,
იმას ენა ვერ წარმოსთქვამს,
ხელები ვერ შექმნიან,
ფეხები მისკენ ვერ წაგიყვანენ,
გული ვერ იწუხებს მასზე.
ამიტომ არის საჭირო,
რომ მთელი ჩვენი არსებით
მივისწრაფოდეთ ყველაზე ნათელი
აზრებისა
და ხატებისაკენ, სულიერად
ამაღლებული
იდეებისაკენ, თუ არა და ენა,
ხელები
და ფეხები წყვდიადის მსახურები
გახდებიან.

* * *

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი

მოქმედებს სიყვარულის
კანონებით.
პირველი კანონი:
გვიყვარდეს ნებისმიერი ბავშვი,
რადგან სიყვარულია სულისა და
გულის გარდამქმნელი ძალა.
მეორე კანონი:
გავუგოთ ბავშვს და მივიღოთ იგი
ისეთად,
როგორიც არის,
რადგან ზეციერი მამა არ დაუშვებს
დაიღუპოს
რომელიმე ახალგაზრდა სული.
მესამე კანონი:
აღვივსოთ ოპტიმიზმით ნებისმიერი
ბავშვის მიმართ,
რადგან მომავლის წრმენა აწმყოს
შემოქმედია.

* * *

ზანდუკიდან

– რაინდო, რატომ განმარტოვდი?
– *დედამიწას განვჭვრეტ.*
– რატომ ტირი?
– *დაღუპულ ბავშვებს ვხედავ.*
– რისგან იღუპებიან ისინი?
– *უფროსების გულგრილობისაგან.*
– და შენ როგორ დაეხმარები მათ?
– *ყველას გავახვევ ჩემი*
სიყვარულის ალში.
– ყველას ეყოფა შენი სიყვარული?
– *იმედი მაქვს, დახმარება*
გამოჩნდება.
– საიდან?
– *თითოეული თქვენგანისაგან.*

* * *

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდს

ესმის, რომ ჰუმანური პედაგოგიკის
მიზანი
ვერ გაამართლებს საშუალებებს;
იგი ირჩევს იმ საშუალებებს, რაც ამ
მიზნების შესაბამისია.
ღიმილიც, საუბრის ტონიც,
ურთიერთობაც,
თვით აღშფოთებაც კი –
ჰუმანური პედაგოგიკის მიზანს
უნდა შეესაბამებოდეს.

* * *

ზანდუკიდან

ჰუმანური პედაგოგიკის
გულისგულია
მოსწავლესთან მასწავლებლის
აღსაზრდელთან აღმზრდელის
გულითადი ურთიერთობა
და სხვა არაფერი.

* * *

ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი

თავის მოქმედებებში მიჰყვება
ჰუმანური პედაგოგიკის აქსიომებს:
– სიყვარული სიყვარულით
იზრდება.
– კეთილშობილება
კეთილშობილებით აღიზრდება.
– სიკეთე აღიზრდება სიკეთით.
– ერთგულება აღიზრდება
ერთგულებით.
– პატიოსნება აღიზრდება
პატიოსნებით.
– თანაგრძნობა აღიზრდება
თანაგრძნობით.
– სულიერება აღიზრდება
სულიერებით.

მის სიტყვას მოაქვს ჭეშმარიტება,
მისი საქმე ჭეშმარიტების
აღსრულებაა.

რუსულიდან თარგმნა
ზურაბ ცუცქირიძემ

სადემონსტრაციო გაკვეთილი

გთავაზობთ მაძიებლის სადემონსტრაციო გაკვეთილის გეგმას, რომელიც ქუთაისის №5 საჯარო სკოლის მაძიებელმა მასწავლებელმა **თეა კაპანაძემ** ჩაატარა, მენტორი – **ნინო მელუა**ვა. გაკვეთილს ესწრებოდა სკოლის დირექტორი **ცისანა ანთიძე** და პროფესიული განვითარების ცენტრის წარმომადგენელი **მანანა ჯულაყიძე**. გაკვეთილი დადებითად შეფასდა, აქტივობები მორგებული იყო მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებზე, მათ ინტერესებზე და, რაც მთავარია, მოსწავლეებს პოემის ერთი მონაკვეთის განხილვით მიეცათ საშუალება, გამოეთქვათ თავიანთი დამოკიდებულება პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობასთან დაკავშირებით. მაძიებელმა გამოიყენა მრავალფეროვანი თვალსაჩინო მასალა, პროექტორით ტოპონიმების შესაბამის მონაკვეთებს დაურთო ფოტომასალა (შატილი, კავკასიონი, იმედას ქავი).

მარინა უკლება



თემა: ვაჟა-ფშაველა – „ალუდა ქეთელაური“

სწავლების საფეხური და კლასი:

საშუალო – XI

გაკვეთილის მნიშვნელობა და აქტუალობა:

გაკვეთილი აქტუალურია საზოგადოების და პიროვნების ურთიერთობით. პიროვნება უარყოფს საზოგადოების გარკვეულ ტრადიციას, რის შედეგადაც იგი გარდაიქმნება სულიერად, რაც ხელს უწყობს სიყვარულის ქადაგებას, მტრის დანდობას და მისი ღირსების პატივისცემას.

ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეებს, როგორც პიროვნების საზოგადოებასთან ურთიერთობის დარეგულირების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, ასევე, წინარე ცოდნის გამოყენებაში.

გაკვეთილის მიზნები და შედეგები:

მოსწავლეები გაეცნობიან ტექსტს. განუვითარდებათ კითხვის, ტექსტიდან საჭირო ინფორმაციის ამოკრების, ადეკვატური გააზრების, ანალიზის, სინთეზის, შეფასების, ცოდნის ცხოვრებაში გამოყენების უნარები.

გამართავენ დისკუსიას, შეძლებენ აზრის არგუმენტირებულად ჩამოყალიბებას და წერილობით გადმოგვცემენ განსხვავებულ შეხედულებებს, გამოთქვამენ ვარაუდებს, გაიუმჯობესებენ ლოგიკური და ინტუიციური აზროვნების უნარებს.

ქართ. XI. 2. მოსწავლე ისმენს და კრიტიკულად აფასებს საჯარო გამოსვლებს:

– გამოაქვს დასკვნა როგორც საკუთარი, ისე სხვების მსჯელობიდან და შენიშნავს მსგავსება-განსხვავებას;

– მსჯელობს იმაზე, რამდენად ლაკონურად, მკაფიოდ და ეფექტურად არის გამოკვეთილი შესავალ ნაწილში ტექსტის ძირითადი იდეა, განსახილველი საკითხები, პრობლემატიკა;

– საუბრობს იმის შესახებ, რამდენად ამართლებს ტექსტის ძირითადი ნაწილი იმ მოლოდინს, რაც მსმენელს შესავალი ნაწილის მიხედვით უჩნდება.

ქართ. XI. 7. აანალიზებს მხატვრული ნაწარმოების ენობრივ საშუალებებს ფუნქციონირების თვალსაზრისით.

– აანალიზებს მხატვრული შინაარსის მქონე ფრაზებს, რომლებიც ენობრივად გაუგებარია და „გაშინაარსება“ ხდება ასოციაციებით, რომელთაც ლექსის ბგერწერითი და სხვა ეფექტები ქმნის;

– მსჯელობს მხატვრულ ტექსტში ენობრივი და მხატვრული შინაარსის გადმოცემის განსხვავებულ საშუალებებზე.

ქართ.XI. 8. მოსწავლე ირჩევს და იყენებს კითხვით ეფექტურ სტრატეგიებს.

ქართ.XI. 10. მოსწავლე წერს სხვადასხვა სახის ესეს.

შეფასების საგანი და პროცედურები:

მოსწავლეთა წარმატებას დავადგენ საკლასო მსჯელობაში მონაწილეობის შეფასების რუბრიკით და ჯგუფური მუშაობის შეფასების სქემით.

წერით სამუშაოს შევაფასებ ესეს შეფასების სქემით.

გამოვიყენებ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას.

სასწავლო მასალა და ტექნიკური რესურსები: ტექსტი, სახელმძღვანელო, ფორმატები, თაბახები, მარკერები, სტიკერები, კომპიუტერული ტექნიკა.

გაკვეთილის მსვლელობა და საკლასო მენეჯმენტი:

საჭიროა თანამედროვე მეთოდიკის ფლობა, გარდნერის ინტელექტის, ბლუმის ტაქსონომიის, პერკინსის განათლების და ვიგოტსკის თეორიების ცოდნა; ისტ-ის გამოყენება სასწავლო პროცესში.

მოვახდენ პროვოცირებას, დავაწერინებ თავიანთ შეხედულებებს შემდეგ ლექსიკურ ერთეულებზე: საზოგადოება, პიროვნება და ტრადიცია (3წთ).

პრეზენტაცია (3წთ).

შემდეგ ტექსტს გავყოფ სამ ნაწილად:

I ნაწილი: „მაცნე მოიდა შატილსა-ზედ გადაადვა ფარიო.“

II ნაწილი: „მზემ აიწია ცაზედა-მკვლელს არ შაარჩენს გვარია.“

III ნაწილი: „შატილს გადმოდგა ბანებზედ-ნიავქარივით მავალი.“

სამივე ჯგუფს გავუნაწილებ ტექსტს. დავიწყებ ტექსტის კითხვას პაუზებით და კომენტარებით (25წთ). იქვე მივცემ დავალებად, მოძებნონ მხატვრული ხერხები. კითხვების დასმით მოვახდენ ტექსტის შინაარსისა და პრობლემის რეალიზებას.

– რომელი სიტყვა მიანიშნებს ალუდას გამორჩეულობაზე?

– როგორ გესმით: კარგია მუდამ მტრიანი?

– ვისი შემწეობის იმედი აქვს ალუდას?

– რატომ არ მოსჭრა ალუდამ მუცალს მკლავი?

– რა შესთხოვა ღმერთს ალუდამ?

– თქვენი აზრით რატომ არ ეწონება თავი ალუდას?

– რისი სიმბოლო უნდა იყოს უმზეო შატილი?

– რისი სიმბოლოა იმედას ქავი?

– რატომ აეშლება ალუდას ფიქრები იმედას ქავის დანახვაზე?

– რატომ არ იცავს თავს ალუდა თანასოფლელთა შეურაცხყოფისაგან?

ვენის დიაგრამის საშუალებით ბავშვები შეძლებენ ჩამოაყალიბონ მსგავსება-განსხვავება, საერთო თვისებები ალუდასა და მუცალს შორის.

ვენის დიაგრამა



1 – ალუდას თვისებები
2 – მუცალის თვისებები
3 – საერთო თვისებები

მიბრუნება ლექსიკური ერთეულების მიხედვით შექმნილ ტექსტებზე (4წთ). აქვე ვარკვევთ ფშაური დიალექტისათვის დამახასიათებელ არასწორ ფორმებს. „სწორია-მცდარია“ სქემის გამოყენებით:

მცდარია	სწორია
მოიდა	
დავლათიანი	
მააჭრა	
გამასტყვრა	
მოგხვდაუ	
შაახვეწებს	
შავჭამ	
მაჰგლეჯს	
ვსცხონდები	
შაჰხედავს	
მაჰკალ	

გაკვეთილს ვაჯამებ ესეს დაწერით – „არ ეწონება თავია“ (5წთ).

პრეზენტაცია (5წთ).

შეფასება (2წთ).

საუბრები ბიბლიაზე

იოსების ჭრელი სამოსი

რუბრიკას უძღვება
მაკა თაქთაქიშვილი

იაკობს თორმეტი ვაჟი და ერთი ასული ჰყავდა. შვილებს შორის მას გამორჩეულად იოსები უყვარდა, რადგან ის იყო ღვთის რჩეული და ამის შესახებ მამამ იცოდა. „სხვა შვილებზე მეტად უყვარდა ისრაელს იოსები, რადგან მისი სიბერის შვილი იყო იგი...“ (დაბ.37:3). სიყვარულისა და გამორჩეულობის ნიშნად იოსები განსაკუთრებულ, ჭრელ სამოსს ატარებდა – „შეუკერა მას ჭრელი კვართი“ (დაბ.37:3). საგულისხმოა, რომ სამოსი იოსების სულის თვისებებზე მიუთითებს. იოსები გულთმისანია, მას ადამიანების მომავლის ჭვრეტა, სიზმრების ახსნა შეუძლია, ადამიანები კი სხვადასხვაგვარები, სხვადასხვა ფერისანი – ჭრელები არიან. იოსების გამორჩეულობა არ მოსწონდათ მის ძმებს. არ მეგობრობდნენ მასთან, გაურბოდნენ კიდევაც. შური უღრღნიდათ სულსა და გულს.

ერთხელ იოსებს უცნაური რამ ესიზმრა და თავისიანებს მოუყვა: „აჰა, ძნებს ვკონავთ შუაგულ ყანაში. აჰა, წამოდგა ჩემი ძნა და ზე აღიმართა, გარსშემოადგნენ თქვენი ძნები და თაყვანისცეს ჩემს ძნას. უთხრეს ძმებმა: ნუთუ ჩვენზე იმეფებ? ნუთუ პატრონად გაგვიხდები? და კიდევ უფრო მეტად შეიძულეს იგი მისი სიზმრისა და მისი სიტყვების გამო“ (დაბ.37:7-8). ძმების სიძულვილს ისიც აცხარებდა, რომ იოსები, თავისი უმანკო, მართალი ბუნებით არც ცდილობდა დაემალა. პირიქით, თავად მოიხმო ისინი და გულწრფელად მოუყვა მათ საოცარი სიზმრის შესახებ.

ცოტა ხნის შემდეგ, კვლავ ესიზმრა იოსებს განსაკუთრებული სიზმარი, რომელიც მამასაც უამბო: „...აჰა, მზე და მთვარე და თერთმეტი ვარსკვლავი მცემენ თაყვანს“ (დაბ.37:9). მამამ გაკიცხა და უთხრა: „...რა არის ეგ სიზმარი, რომ გესიზმრა? ნუთუ მე და დედაშენი და შენი ძმები უნდა გეახლოთ და თაყვანი გცეთ?“ (დაბ.37:10); კიდევ უფრო შემოსწყრნენ ძმები იოსებს, შურითა და ბოროტებით აღივსნენ და გადაწყვიტეს თავიდან მოეშორებინათ, მოეკლათ გამორჩეული ძმა.

ერთხელაც, როცა იოსების ძმები შექემში მწყემსავდნენ ფარას, მამამ იოსები ძმებთან ამბის გასაგებად გააგზავნა. „უთხრა იაკობმა: წადი, გაიგე, როგორ არიან შენი ძმები, როგორ არის ფარა, და მომიტანე ამბავი. გაგზავნა ხებრონის ველიდან და ისიც მივიდა შექემს“ (დაბ.37:14). შორიდანვე მოჰკრეს ძმებმა მას თვალი და ვიდრე ახლოს მოვიდოდა „უთხრეს ერთმანეთს: შეხედეთ, მოდის ეს მესიზმრე. ახლა, მოდი, მოვკლათ და სადმე, ჭაში ჩავაგდოთ; ვთქვათ, ვითომ ნადირმა შეჭამა. მაშინ ვნახოთ, როგორ აუხდება სიზმრები“ (დაბ.37;19-20). ცხადია, ძმებს იოსების დასჯა მისი განსაკუთრებულობის გამო ჰქონდათ განზრახული.

გაიგონა ეს რეუბენმა, უფროსმა ძმამ, ვერ გაიმეტა იოსები სასიკვდილოდ და შესთავაზა ძმებს: „...ნუ მოვკლავთ,... ნუ დაღვრით სისხლს. უდაბნოში რომ ჭაა, იქ ჩააგდეთ; ნუ გაიმეტებთ სასიკვდილოდ. რომ ეხსნა მათი ხელიდან და მამასთან დაებრუნებინა“ (დაბ. 37:21-22). მართლაც, ძმებმა დაიჭირეს იოსები, გახადეს ჭრელი კვართი და განძარცვული ამომშრალ, ღრმა ჭაში ჩააგდეს. რაუბენი საქმეების გამო განერიდა ძმებს, ისინი კი დასხდნენ პურის საჭმელად. გაიხედეს და დაინახეს: ისმაელიანთა ქარავანი მოდის გალაადიდან და ეგვიპტეში გასაყიდად აქლემებით მოაქვთ გუნდრუკი, ბალსამონი და შტახსი; ამჯერად იუდამ მიმართა ძმებს და ურჩია: „...რას გვარგებს ჩვენი ძმის მოკვლა და მისი სისხლის დაფარვა? მოდი, მივყიდოთ ისმაელიანებს; ხელს ნუ ვახლებთ, რადგან ჩვენი ძმაა, ჩვენი სისხლი და ხორცი. დაუჯერეს ძმებმა“ (დაბ. 37:26-27). ამოიყვანეს იოსები ჭიდან და მიჰყიდეს ისმაელიანებს ოც ვერცხლად. ქარავანმა განაგრძო გზა და იოსებიც თან წაიყვანა ეგვიპტეში. გადმოცემის თანახმად, ეგვიპტისაკენ მიმავალ ვაჭრებს, ტრადიციულად, კუპრი და სხვა მყრალი ნივთიერებები მიჰქონდათ ხოლმე. ამჯერად კი, ქარავანი კეთილსურნელოვანი საკმეველით იყო დატვირთული. ეს სურნელი ერთგვარ ნუგეშად მიჰყვებოდა უცხოეთში გადასახვეწად განწირულ ყმას. სიმბოლურად კი, იოსებს წარმართების მხარეში ღვთის საკმეველის სურნელი უნდა ჩაეტანა: „მაგრამ მადლობა ღმერთს, რომელიც ყოველთვის გვანიჭებს ძლევას ქრისტეს მიერ და ჩვენი მეოხებით ავრცელებს ყველგან თავისი შემეცნების სურნელს;“ (II. კორ.2,14).

ძმებთან დაბრუნებულმა რეუბენმა ვეღარ იპოვა იოსები, შეწუხდა ძლიერ და სასოწარკვეთით შესძახა: „...აღარსადაა ბავშვი. რა ვქნა ახლა, სად წავიდე?“ (დაბ.37:30). ძმებმა დაამშვიდეს რეუბენი, შემდეგ კი თიკნის სისხლში ამოსვარეს იოსების ტანისამოსი და მამას გაუგზავნეს. იცნო იაკობმა საყვარელი შვილის კვართი, შეწუხდა ძლიერ, „ტანზე შემოიხია იაკობმა, ჯვალო შემოირტყა წელზე და დიდხანს გლოვობდა შვილს“ (დაბ.37: 34).

მიდიანელებმა იოსები მიჰყიდეს ეგვიპტელი ფარაონის კარისკაცს, ფოტიფარს, რომელმაც მალევე შეამჩნია, რომ იოსებს ყველა საქმეში ღმერთი ეწეოდა. „ჰპოვა იოსებმა მადლი მის თვალში და გახდა მისი მსახური. დაადგინა იგი ბატონმა თავისი სახლის ზედამხედველად და მთელი თავისი საბადებელი ჩააბარა“ (დაბ.39:4). თავდაუზოგავი შრომითა და ერთგულებით იოსებმა კიდევ უფრო გაამდიდრა თავისი პატრონი, მანაც სრული ნდობა გამოუცხადა, მაგრამ ფოტიფარის მეუღლეს თავდავიწყებით შეუყვარდა იოსები, შეეცადა ეცდუნებინა იგი. „ყოველდღე ელაპარაკებოდა ქალი იოსებს, მაგრამ ვერ დაიყოლია, რომ მის გვერდით დაწოლილიყო და მასთან ყოფილიყო“ (დაბ.39:4). ერთხელაც, ქალბატონმა ცილი დასწამა იოსებს და ქმარს შესჩივლა, „...ასე უთხრა: შემოვიდა შენი მოყვანილი ებრაელი მონა ჩემთან საარშიყოდ. როცა ყვირილი ავტეხე, შემატოვა თავისი სამოსელი და გარეთ გაიქცა“ (დაბ.39:17-18). განრისხდა ფოტიფარი, დაავლო ხელი იოსებს და საპყრობილეში ჩააგდო. მაგრამ ღმერთმა იოსები არც აქ არ მიატოვა. „უფალი იყო იოსებთან და მოიღო მასზე წყალობა: მადლი აპოვნინა საპყრობილის უფროსის თვალში. ჩააბარა საპყრობილის უფროსმა იოსებს ყველა პატიმარი, ვინც კი საპყრობილეში იყო, და მის გარეშე იქ არაფერი ხდებოდა“ (დაბ. 39:21-22). სწორედ ამ დროს, ფარაონი განურისხდა თავის ორ კარისკაცს – მეპურესა და მწდეს. და ისინიც იმავე საპყრობილეში ჩააგდეს, სადაც იოსები იყო გამომწყვდეული. ციხის უფროსმა კი, იოსები მათ მოსამსახურედ განაწესა. ერთ ღამეს ორთავე კარისკაცს უცნაური სიზმარი დაესიზმრა. თითოეულს – თავისი, საკუთრივ ასახსნელი. ახსნა კი ვერ მოეფიქრებინათ. ძველ ეგვიპტეში სიზმრებსა და მათ ახსნას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ფარაონის კარზე ამ მისიით განსაკუთრებული ნიჭითა და ცოდნით შეიარაღებული ქურუმებიც კი მსახურობდნენ.

დილეგში ჩამწყვდეული მეპურეთუხუცესი და მწდეთუხუცესი კი, ისხდნენ დაღონებულნი, გაუგებრობის ბურუსით გაბრუებულნი. მივიდა მათთან იოსები და გამოჰკითხა უგუნებობის მიზეზი. „უთხრეს: სიზმარი გვესიზმრა, მაგრამ არ არის მისი ამხსნელი. უთხრა იოსებმა: განა ღვთისგან არ არის ახსნა? აბა, მიამბეთ. უამბო მწდეთუხუცესმა იოსებს თავისი სიზმარი და უთხრა: ვხედავ, სიზმარში ვაზია ჩემს წინ. სამი ლერწი აქვს ამ ვაზს; როგორც კი გაიფურჩქნა, გამოიღო ყვავილი და დამწიფდა მტევანი. ხელში ფარაონის თასი მეჭირა; ავიღე ყურძენი, ჩავწურე ფარაონის თასში და თასი ფარაონს მივართვი“ (დაბ.40:8-11). ყურადღებით მოუსმინა იოსებმა მწდეს და განუმარტა სიზმარი: „...სამი დღის შემდეგ თავს აგიწევს ფარაონი და შენს სამსახურში დაგაბრუნებს“ (დაბ.40:13), კვლავ მიართმევ მას თასს, კვლავ იქნები მისგან პატივცემული და დაფასებული, „ოღონდ გამიხსენე, როდესაც კარგად გექნება საქმე; მიყავი სიკეთე და გაახსენე ჩემი თავი ფარაონს და გამომიყვანე ამ სახლიდან“ (დაბ. 40:14).

მოისმინა სიზმრის კეთილად ახსნა მეპურემ, მოიკრიფა გამბედაობა და თავისი სიზმარიც უამბო იოსებს: „...აჰა, სამი მოწნული კალათა მადგას თავზე. ზემო კალათაში ფარაონის ნაირ-ნაირი საჭმელი აწყვია, მზარეულის გაკეთებული, ჩიტი კენკავს ჩემს თავს ზემოთ იმ კალათიდან“ (დაბ.40:16-17). იოსებმა შემდეგნაირად ახსნა მისი სიზმარი: „...სამი კალათი სამი დღეა. სამი დღის შემდეგ აგწევს ფარაონი, ხეზე ჩამოგკიდებს და ფრინველები დაძიძგნიან შენს ხორცს“ (დაბ.40:18-19).

მართლაც, მესამე დღეს, ფარაონის დაბადების დღეს, გაუმართა ფარაონმა ლხინი თავის მორჩილებს და მოიკითხა თავის მორჩილთა შორის მწდეთუხუცესი და მეპურეთუხუცესი. დააბრუნა მწდეთუხუცესი თავის ადგილზე და იგი კვლავაც მიართმევდა ფარაონს ღვინით სავსე თასს. ხოლო მეპურეთუხუცესი ხეზე ჩამოჰკიდა, ზუსტად ისე, როგორც განუმარტა მას იოსებმა.

ინფორმაცია

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** სოფელ ვაზიანში ახლად აშენებული საჯარო სკოლა გახსნა. საერთაშორისო სტანდარტების სკოლის მშენებლობა 2011 წელს დასრულდა. სკოლაში 171 მოსწავლე სწავლობს, საგანმანათლებლო საქმიანობას კი 21 პედაგოგი ეწევა.

ახალ სკოლას აქვს: სპორტული მოედანი და დარბაზი; საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია; კომპიუტერული, თავდაცვისა და სამოქალაქო უსაფრთხოების ოთახი; ინგლისური ენის კაბინეტი; ბიბლიოთეკა.

სკოლის მოსწავლეები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ როგორც ოლიმპიადებში, ასევე ეროვნულ გამოცდებზეც. რეგულარულად ტარდება შიდა სასკოლო ღონისძიებები და სპორტული შეჯიბრებები. სპორტის სახეობებიდან სკოლას არჩეული აქვს ფეხბურთი, ფრენბურთი და მაგიდის ჩოგბურთი.

საქართველოს პრეზიდენტმა VI და VII კლასების წარჩინებული მოსწავლეები – **ლიკა ვახტანგიძე** და **რატი კონცელიძე** პერსონალური კომპიუტერებით დააჯილდოვა.

სკოლა დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. შექმნილია საგნობრივი კათედრები, სადაც სისტემატურად იხილება საგნის სწავლებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი აქტიურადაა ჩართული განათლების რეფორმაში, მონაწილეობენ სასერტიფიკაციო გამოცდებში. სკოლაში ხორციელდება პროგრამა „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“, რომლის ფარგლებში მოსწავლეებს ინგლისურ ენას ამერიკელი პედაგოგი **ჯონათან რობერტსი** ასწავლის.

სოფელ ვაზიანში არასრული საჯარო სკოლა, პირველად, 1989 წელს, სახელმწიფოს მიერ შესყიდულ ორსართულიან კერძო სახლში გაიხსნა, 1995 წელს სკოლა რეორგანიზებულ იქნა საჯარო სკოლად. ფართის უკმარისობის გამო, გადავიდა მოძრავ მექანიზებული კოლონის გაუქმებულ შენობაში, სადაც გაუსაძლისი პირობები იყო, საკლასო ოთახები და ინვენტარი მეცადინეობისათვის საჭირო პირობებს ვერ აკმაყოფილებდა.

ახალი სკოლის მშენებლობა მსოფლიო ბანკმა დააფინანსა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **დიმიტრი შაშკინი** „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს“ ეწვია. მინისტრი სასწავლო პროცესს, პრაქტიკულ ლაბორატორიებს და იმ საგანმანათლებლო პროგრამებს გაეცნო, რომელსაც უნივერსიტეტი ახორციელებს.

„ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“, 2007 წელს, „ბათუმის საზღვაო კოლეჯის“ ბაზაზე დაარსდა. სასწავლებელში სახელობო, უმაღლეს პროფესიულ, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 300-მდე სტუდენტი სწავლობს.

საბაკალავრო და სამაგისტრო ფაკულტეტებზე სტუდენტები ისეთ მოთხოვნად საზღვაო-საინჟინრო პროფესიებს ეუფლებიან, როგორიცაა: საზღვაო ნაოსნობა, გემის ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაცია, საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა. სასწავლებელში, იმავე პროფესიებში, უმაღლესი პროფესიული პროგრამებიც მოქმედებს, ასევე, ფუნქციონირებს: მატროსის, მოტორისტის, მზარეულის, ელექტროშემდუღებლის, გემის ელექტრიკოსის, გადაზიდვების ოპერატორის სახელობო პროგრამები.

ბათუმის ნავიგაციის ინსტიტუტში მიმდინარეობს სამუშაო პროცესი ISO 9001:2008 საერთაშორისო სერტიფიკატის მოსაპოვებლად. ინსტიტუტში საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი ფუნქციონირებს, რომელიც უზრუნველყოფს ქართველი და უცხოელი მეზღვაურების საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად გადამზადებასა და სერტიფიცირებას. სასწავლებელს ემსახურება საერთაშორისო სტანდარტების სამედიცინო კლინიკა.

საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრში, სახელობო განათლების საფეხურზე, სწავლის ხანგრძლივობაა: IX კლასის ბაზაზე – 3 წელი; საშუალო განათლების ბაზაზე – 1 წელი. მეორადი პროფესიის დაუფლების მსურველთათვის მუშაობს 9-თვიანი კურსები, სადაც 22 წელს გადაცილებული პირები სწავლობენ. კურსებზე მიღება წელიწადში სამჯერ ხდება. ცენტრის სრული დაპროექტება და მოწყობა თანამედროვე საწვრთნელი სისტემებით განახორციელა ცნობილმა ინგლისურმა კომპანიამ Transas Marine.

გლობალიზაცია საუკუნეების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ 11 მაისს თბილისის 51-ე საჯარო სკოლაში რესპუბლიკურ სასკოლათაშორისო კონკურსში „დედამიწა ჩემი სახლია“ გამარჯვებულები გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ. გთავაზობთ პირველ ადგილზე გასული, ამავე სკოლის XII² კლასის მოსწავლეების – თამუნა ბებიაშვილისა და თამთა გოგელაშვილის საკონკურსო ნაშრომს, ხელმძღვანელი – ნაილი წერეთელი.

გლობალიზაცია სრულიად ახალი და თანამედროვე მოვლენაა. თვითონ ტერმინი ფრანგული სიტყვიდან მომდინარეობს და ნიშნავს საერთოს, მთლიანს. ფართო მნიშვნელობით, ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბება და ეროვნული საზღვრების წაშლაა. თავდაპირველად ცნებას „გლობალიზაცია” მხოლოდ ეკონომიკური დატვირთვა ჰქონდა, მაგრამ შემდეგ მან ფაქტობრივად ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა: პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური, სოციალური და რაც ყველაზე მთავარია, მენტალური მხარე. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ გლობალიზაცია XX საუკუნის მეორე ნახევრის მოვლენაა, რადგან მისი საფუძვლები საძიებელია ინფორმაციული ეპოქის დასაწყისში, როდესაც სატელიტურმა ტელევიზიამ, ინტერნეტმა და მობილურმა ტელეფონმა ფაქტობრივად მთელი მსოფლიო ერთ მთლიან საზოგადოებად – „გლობალურ სოფლად” აქცია და ამის გამო, დრომ და მანძილმა თავისი ადრინდელი მნიშვნელობა დაკარგა.

მიუხედავად მეცნიერების ამგვარი მოსაზრებისა, გლობალიზაციის უამრავი ისტორიული პრეცედენტი მოიძებნება ანტიკურ ხანაში. პირველ რიგში, ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ ძველი იმპერიები, რომელთა მიზანიც რელიგიური, კულტურული და ენობრივი განსხვავებების წაშლა იყო, რათა ჩამოყალიბებულიყო საერთო ხალხი, საერთო თვითშეგნებით, ენითა და რელიგიით. კულტურული გლობალიზაციის მაგალითებად შეიძლება მივიჩნიოთ: აქემენიდური ირანი, რომელმაც ძვ.წ.VII-IV ს-ში დაიპყრო ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფო და პირველ ნამდვილ იმპერიად იქცა. ასევე აღსანიშნავია ალექსანდრე მაკედონელის იმპერია, რომლის საზღვრებიც მთელ იმდროინდელ მსოფლიოს მოიცავდა. ერთ-ერთი მაგალითია ელინისტური სამყარო, რომლის ცივილიზაცია უმნიშვნელოვანესი იყო. რაც შეეხება ბიზანტიის იმპერიას, იგი



ერთ-ერთ უძლიერეს ეკონომიკურ, კულტურულ და სამხედრო სახელმწიფოდ ითვლებოდა ევროპაში. აღსანიშნავია ბრიტანეთის იმპერია, რომელიც ყველაზე დიდი იმპერია იყო კაცობრიობის ისტორიაში. გლობალიზაციის ყველაზე დამაჯერებელ ისტორიულ ანალოგად შეგვიძლია მივიჩნიოთ არაბთა სახალიფო. არაბები VII ს-ის დასაწყისში მოედნენ მსოფლიოს, რათა იგი ისლამისკენ მიექციათ. მათ ხელთ იგდეს მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზები, არსებითად შეცვალეს მრავალი ქვეყნის კულტურა და განავითარეს ახალი რელიგიური მოძღვრება.

თითოეულ იმპერიაში მიმდინარეობდა ენობრივი, კულტურული თუ რელიგიური ასიმილაციური პროცესი, თუმცა, ცალკეული გამონაკლისების გარდა, ხალხთა უმრავლესობამ კულტურული თვითმყოფადობა შეინარჩუნა და ვერც ერთმა ჰეგემონმა იმპერიამ ვერ შეძლო სრული გლობალიზაციის მოხდენა. ამის ყველაზე დიდი მაგალითი საქართველოა, რომელმაც არაბთა 400-წლიანი ბატონობის შემდეგ სრულიად შეინარჩუნა ყველა ის ფასეულობა, რაც ოდითგანვე გააჩნდა.

გლობალიზაციის ერთ-ერთ მახასიათებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ასევე მსოფლიო რელიგიების წარმოშობა. მათი გავრცელება ანტიკური ხანიდან იწყება. ბუდიზმიც, ისლამიც, კათოლიციზმიც და ქრისტიანობაც არ სცნობდნენ ეროვნულ საზღვრებს და მანამდე არსებულ კულტურებს. ისინი ცდილობდნენ გაეერთიანებინათ რაც შეიძლება მეტი ხალხი, მიუხედავად მათი ეროვნებისა და სახელმწიფოებრიობისა. მსოფლიო რელიგიებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს მათ გავრცელებამდე არსებული ეროვნული კულტურები და ერთმანეთთან დააახლოვეს ერთი და იმავე რელიგიით გაერთიანებული ხალხები, მაგრამ საერთო უეროვნებო ქრისტიანული ან მუსულმანური საზოგადოების ჩამოყალიბება მაინც ვერ შეძლეს.

რაც შეეხება ეკონომიკური ანტიკური ხანის ანალოგებს, შეგვიძლია გავიხსენოთ „ისლამის ოქროს ხანა“, როდესაც მუსულმანმა ვაჭრებმა მოახდინეს პროდუქციისა და ცოდნის გლობალიზაცია. ასევე მონღოლთა იმპერიაში აბრეშუმის გზამ უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინა.

კულტურული გლობალიზაციის ისტორიულ ანალოგებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იდეოლოგიებს. მათ შორის აღსანიშნავია კომუნისტური იდეოლოგია, რომელიც ამტკიცებდა, რომ გარდაუვალი იყო კომუნიზმის გამარჯვება მთელ მსოფლიოში, რომ წარმოიქმნებოდა საყოველთაო თანასწორობისა და კეთილდღეობის საზოგადოება, აღარ იქნებოდა საზღვრები და სახელმწიფოების არსებობა აზრს დაკარგავდა. ჩამოყალიბდებოდა ერთიანი მსოფლიო ენა და მოისპობოდა კულტურული განსხვავებები ხალხებს შორის. ყოველივე ეს სხვა არაფერია თუ არა გლობალიზაციის „კომუნისტური“ ვარიანტი, რაც რეალურად მთელ მსოფლიოში საბჭოთა კავშირის გაბატონებას გულისხმობდა (საბედნიეროდ ასე არ მოხდა). ახლა კი, რაც შეეხება ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეო-

ლოგიას, იგი ფაქტობრივად დასავლური ღირებულებების უნივერსალობას ამტკიცებს და მთელ მსოფლიოში მისი გავრცელების აუცილებლობას ქადაგებს. ლიბერალური დემოკრატიის საყოველთაო გავრცელება გამოიწვევს საერთო ფასეულობების ჩამოყალიბებას სხვადასხვა ხალხებში, მათ დაახლოებას საერთო ენისა და საერთო კულტურის ფორმირებას. დღეს, სწორედ ლიბერალური დემოკრატია გვევლინება თანამედროვე გლობალიზაციის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, რის გამოც ეს პროცესი არადასავლურ ქვეყნებში აღიქმება ამერიკული კულტურის მასიურ შეტევად, რაც საფრთხეს უქმნის სხვა ხალხების კულტურულ თვითმყოფადობას. გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი საერთო ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაა. სწორედ აქ აწყდება გლობალიზაცია ყველაზე დიდ წინააღმდეგობას. საზოგადოების აზრი გლობალიზაციასთან დაკავშირებით იყოფა სამ ნაწილად. ერთნი თვლიან, რომ გლობალიზაცია საჭიროა და გარდაუვალია, მსოფლიო ერთ მთლიანობად უნდა ჩამოყალიბდეს. მეორენი მიიჩნევენ, რომ გლობალიზაცია დაღუპავს ყოველგვარ ეროვნულ ღირებულებებს. მესამენი ფიქრობენ, რომ რადიკალური არც გლობალიზაცია ვარგა და არც ანტიგლობალიზაცია.

მაგრამ, რადიკალურ გლობალისტებს ნეტავ არ გასჩენიათ კითხვა, როგორ შეუძლიათ იცხოვრონ ერთმანეთის გვერდით ქრისტიანებს, მუსულმანებს და ბუდისტებს?! რადიკალურ ანტიგლობალისტებად ითვლებიან აღმოსავლეთის ქვეყნები, რომლებიც სასტიკად ეწინააღმდეგებიან ე.წ. „ამერიკანიზაციას“, ანუ „ვესტერნიზაციას“ და სავარაუდოდ ამას შეიძლება მოყვეს ცივილიზაციათა შორის დაპირისპირება. ისმება კითხვა: ბოლოს და ბოლოს, გლობალიზაცია მითია თუ რეალობა?! ძველ დროში ვერც იმპერიებმა, ვერც იდეოლოგიებმა და ვერც რელიგიებმა მოახდინეს სრული გლობალიზაცია. დღეს კი, ყალიბდება კოსმოპოლიტი საზოგადოება, მიმდინარეობს სახელმწიფოების კვდომა, რაშიც დიდ როლს თამაშობენ ტრანსნაციონალური კორპორაციები. ეს ყველაფერი კი, თანამედროვეობის უდიდესი პრობლემაა. უნდა ვთქვათ თუ არა უარი ცივილიზაციის მონაპოვარზე და ჩავიკეტოთ საკუთარ ნაჭუჭში? ჩემი აზრით რადიკალური არაფერი ვარგა. გლობალიზა-



ციისა და ანტიგლობალიზაციის შერწყმა უნდა მოხდეს უმტკივნეულოდ. ის, რომ გვაცვია „ჯინსები“, ვსვამთ მსოფლიოში გავრცელებულ „კოკა-კოლას“, მივირთმევთ „ჰამბურგერს“, წამებში ვუკავშირდებით ერთმანეთს საზღვარგარეთ და ვუსმენთ ერთნაირ მუსიკას სულაც არ ნიშნავს, რომ უარს ვამბობთ საკუთარ ფასეულობებზე. ამიტომ კაცობრიობა რომ არ დადგეს ამ დიდი პრობლემის წინაშე, უარი არ უნდა ვთქვათ ცივილიზაციის მონაპოვარზე და იგი უნდა მოვარგოთ ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს.

არსებობს ე.წ. გლობალური პრობლემები. მაგალითად ოზონის ხვრელი, გლობალური დათბობის საშიშროება. ამ შემთხვევაში მივესალმებით ისეთ ადამიანებს, რომლებიც ამგვარი პრობლემების მოსაგვარებლად აღმართავენ ფართომასშტაბიან ბარიკადს, რომლის შემადგენლობაში მთელი მსოფლიოს ხალხები შევლენ და ერთად იფიქრებს მსოფლიო მათ გადაწყვეტაზე.

ვაჟა-ფშაველამ ჯერ კიდევ XIX ს-ში იწინასწარმეტყველა, თუ რა პრობლემის წინაშე დადგებოდა მსოფლიო. მან თავის წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ აღნიშნა, რომ პატრიოტიზმი უნდა შეუთავსო კოსმოპოლიტიზმს. ვაჟას აზრით, საჭიროა შეინარჩუნო ეროვნულობა, იყო პატრიოტი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამოეყო მსოფლიოს. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი და პატივი ვცეთ სხვას. ვაჟა თავის წერილ-

ში სწორედ ამას გულისხმობდა: ეროვნულობა შერწყმული მსოფლიოსთან.

განა შეიძლება გერქვას პატრიოტი და სხვა ქვეყნის ეროვნულობას არ სცემდე პატივს, ან შეიძლება გიყვარდეს „ვეფხისტყაოსანი“ და არ აღიარებდე შექსპირს?

მართალია, გლობალიზაცია გარდაუვალი და საყოველთაო პროცესია და მისი შინაარსიც შეიძლება ავხსნათ, როგორც „გაერთმსოფლიურობა“, მაგრამ თითოეული ქვეყნისთვის აუცილებელია ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება საარსებოდ.

ჩემი სურვილია, რომ ხალხთაშორის ურთიერთობას არ ჰქონდეს საზღვარი, ერები და სახელმწიფოები ყოველთვის იყვნენ მსოფლიო პოლიტიკის სუბიექტები, ჩვენმა ულამაზესმა სამშობლომ, საქართველომ ყოველთვის იარსებოს იმ ძირძველი და საამაყო ტრადიციებით, რომლებიც ოდითგანვე მოსდევს და ბოლოს ყველამ, თავისი ეროვნულობის შენარჩუნებით, პატივი სცეს ერთმანეთს. მაშინ დედამიწა ერთ დიდ სახლად გადაიქცევა, რომელსაც სიყვარულის, სიკეთის, თავისუფლების, ჰუმანურობისა და თანასწორუფლებიანობის ჯაჭვი დაიცავს.

საგანმანათლებლო კერა

მარიამ ყაუხჩიშვილის ქალთა კერძო გიმნაზია

მარიამ ყაუხჩიშვილი

რევოლუციამდელ ქუთაისში არსებულ სასწავლებელთა შორის თავისი მოკრძალებული ვალი მოიხადა მარიამ ყაუხჩიშვილის ქალთა კერძო გიმნაზიამ.

1899 წელს სპეციალური რეკლამები იუწყებოდნენ: „მთავრობის ნებართვით ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, ალ. ჭყონიას სახლში, პირველი სექტემბრიდან დაარსდება ოთხკლასიანი სასწავლებელი პროგიმნაზიის კურსით. მდგომიარე წელს გაიხსნება ორი მოსამზადებელი განყოფილება და პირველი პროგიმნაზიული კლასი, ხოლო შემდეგში ყოველ წელიწადს მოემატება თითოეული კლასი. საჭირო ცნობების მისაღებად მსურველებმა უნდა მიმართონ ლიდა გრიგოლის ასულ ანჯაფარიძეს, ან მარიამ იოსების ასულ ყაუხჩიშვილს“.

1903 წელს მეორე ხარისხის კერძო სასწავლებელი, სადაც მარიამ ყაუხჩიშვილი მსახურობდა, მის ხელმძღვანელობაში გადავიდა. მარიამის პირადი შუამდგომლობითა და სკოლაში სასწავლო პროცესის სანიმუშოდ დაყენებით, 1908 წელს, პროგიმნაზია პირველხარისხიანად გადაკეთდა. მას თანდათანობით მიემატა V-VIII კლასები და სრული გიმნაზიის სახე მიიღო. მთავრობის კომისიამ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო, სრულუფლებიან ქალთა კერძო გიმნაზიად დაამტკიცა და მარიამ ყაუხჩიშვილის სახელი მიანიჭა.

1903 წლიდან პროგიმნაზია თბილისის ქუჩაზე, პეტრე გოკიელის სახლში ფუნქციონირებდა. ხოლო შემდეგ, ქუთაისში მცხოვრები ქართველი კათოლიკეების დახმარებითა და ბანკიდან აღებული სესხით, მარიამმა ქალაქის ცენტრში შეიძინა ორსართულიანი შენობა დიდი ბაღით (ამ შენობაში, საბჭოთა პერიოდში, მოთავსებული იყო ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი).

1912 წლის 31 ოქტომბერს სათავადაზნაურო ბანკმა გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მარიამ ყაუხჩიშვილმა შეისყიდა ანა ნიჟარაძის მამული სახლით, გუბერნატორის შესახვევში, თბილისის ქუჩაზე. ღირებულება, ფულის მაშინდელი კურსით, შეფასებულ იქნა 4831 მანეთად. „მამული ორი ნაკვეთისაგან შედგებოდა, რომელთა საერთო ფართობი 1670 კვადრატული საჟენი იყო.“

სილამაზით იპყრობდა ყურადღებას მეორე სართულის ყოველი ოთახის კედლებისა და მაღალი ჭერის მოკაზმულობა. „განსაკუთრებით მეორე სართულის მთავარი სადარბაზო ოთახი, კოშკისებურად აგებული, რომლის გუმბათი და კედლების ნაწილი სამკუთხოვანი, ფერადი შუშებით იყო მოპირკეთებული. ამ კოშკისებური ლამაზი ნაგებობის წინა, ღია ნაწილი, ჩვეულებრივი ფორმის ოთახს წარმოადგენდა, სადაც ჩვენი ახალი სკოლის სამასწავლებლო იყო მოთავსებული, თვითონ მარიამი აქვე ცხოვრობდა, ამავე ოთახის გუმბათიან კუთხეში.“

„ყაუხჩიშვილის გიმნაზია კომერციული მიზანდასახულობის მქონე ორგანიზაცია კი არ იყო, არამედ, ის წარმოადგენდა ფართო ასპარეზს, როგორც მარიამის უტყუარი აღმზრდელობითი უნარის გაშლა-განვითარებისათვის, ისე მის სკოლაში მომუშავე პედაგოგების უმრავლესობის ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა“.

ამის დამადასტურებელია მოსწავლეთა საკმაოდ დიდი კონტინგენტი, რომელიც ამ სკოლას ჰყავდა:

1902-1903 სასწავლო წელს – 339 მოსწავლე, 1903-1904 სასწავლო წელს – 331, 1904-1905 სასწავლო წელს – 296, 1906-1907 სასწავლო წელს – 291, 1910-1911 სასწავლო წელს – 404, 1912-1913 სასწავლო წელს – 402, 1913-1914 სასწავლო წელს – 510 მოსწავლე და ა.შ.

ქალთა გიმნაზია ასეულობით ახალგაზრდამ დაამთავრა. მისი პირველი გამოშვება 1912 წელს იყო. მაშინ სკოლა 35-მა მოსწავლემ დაასრულა.

იმ წლებში ქალთა და ვაჟთა სკოლები ცალ-ცალკე იყო. მარიამ ყაუხჩიშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სასწავლებელი ქალთა სკოლას წარმოადგენდა, ვაჟებიც ჩარიცხა. სწავლას მოწყურებული ყველა ახალგაზრდისათვის ღია იყო გიმნაზიის კარი.

შესანიშნავი ხელმძღვანელი და პედაგოგი გზასაცდენილი ახალგაზრდების წინ ციხესიმაგრედ აღიმართებოდა და იტყოდა: „უნდა გამოვასწოროთ, არ უნდა მივცეთ ქუჩას, მისგან კარგი მოქალაქე უნდა გამოვიდეს“. ამიტომ ქუთაისელები „მარიამ ყაუხჩიშვილის სკოლას მოსწავლეების გამოსასწორებელ სკოლას ეძახდნენ“ (კ. ლილუაშვილი).

სხვადასხვა დროს მარიამ ყაუხჩიშვილის გიმნაზიაში სწავლობდნენ: აკადემიკოსი გ. ჭოღოშვილი, პროფესორები: კ. ლილუაშვილი, ო. ეზიკაშვილი, ცნობილი გამომგონებელი თ. შავგულიძე, ჟურნალისტი და მწერალი რ. ბეროძე და სხვები.

სკოლაში სწავლება ქართულ ენაზე წარმოებდა. იგი ერთ-ერთი სკოლა იყო, სადაც საქართველოს ისტორიას ასწავლიდნენ. სწორედ ამიტომ აფასებდა მას ქუთაისის ინტელიგენცია. სწორედ ამიტომ დაამთავრებინეს სახელოვანმა პედაგოგებმა – სილოვან ხუნდაძემ და ნინო ნაკაშიძემ თავიანთ შვილებს ეს სასწავლებელი.

სასწავლო წელი 1 სექტემბერს იწყებოდა და მთავრდებოდა 31 მაისს. ტარდებოდა მისაღები და ჯგუფიდან ჯგუფში გადასაყვანი გამოცდები. გამოსაშვებ გამოცდებს იღებდა კომისია. რადგან ეს სასწავლებელი კერძო იყო, გამოსაშვები გამოცდები ტარდებოდა ვაჟთა გიმნაზიაში – ოფიციალური პროგრამით. გამომცდელი მასწავლებლები სიამოვნებით აღნიშნავდნენ მოსწავლეების სერიოზულ მომზადებას.

გოგონები იცვამდნენ უჯრედოვანი ქსოვილის კაბებს, ზედ ყავისფერ წინსაფრებს იკეთებდნენ. ფონდში დაცული ათეულობით ფოტოსურათი ამ სკოლის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ასახავს. ეს სურათები ერთგვარი რელიკვიაა და კარგად გვიჩვენებენ სახალხო განათლების საუკეთესო ტრადიციებს ჩვენს ქალაქში.

სწავლების გადასახადი, სხვა სკოლებთან შედარებით, მცირე იყო: 20, 15, 5, 3 და 2 მანეთიც კი, ვისაც რამდენის შესაძლებლობა ჰქონდა. ღარიბი მოსწავლეები საერთოდ თავისუფლდებოდნენ გადასახადისაგან. მ. ყაუხჩიშვილის გიმნაზია უფრო მეტად დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებს ემსახურებოდა. ის მცირე შემოსავალი, რომელიც გიმნაზიას ჰქონდა, მისსავე კეთილდღეობას ხმარდებოდა. „1912 წელს მან 368 მოსწავლიდან 78 ღარიბი ბავშვი გაანთავისუფლა სწავლის ქირისაგან. ამ თანხის რაოდენობა 1790 მანეთს შეადგენდა.“

ღარიბ ბავშვთა სწავლისათვის საკმარისი არ იყო სწავლის ქირიდან განთავისუფლება. საჭირო იყო მათი შემოსვა და სწავლის პირობების შექმნა. ამიტომ მარიამმა ამ საქმეში ქუთაისის ფართო საზოგადოებრიობაც ჩაბა. მისი ინიციატივით, ქუთაისში იმართებოდა საქველმოქმედო საღამოები ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად. საღამოებზე, საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობდნენ ქუთაისის საუკეთესო მხატვრული ძალები: ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის გუნდი მიხეილ შარაბიძის ლოტბარობით, ამავე სასწავლებლის სიმებიანი კვარტეტი. საღამო მიჰყავდათ ნინო ჩხეიძესა და ბონდო მიქელაძეს. პოეტები – პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე, მომღერალი ვანო სარაჯიშვილი გიმნაზიის ხშირი სტუმრები იყვნენ. დასასრულს იმართებოდა ზომიერებით გამორჩეული ვახშამი, რომელიც დასვენების საუკეთესო საშუალება იყო.

თეატრში, ამავე დანიშნულებით, იმართებოდა „ელექტრო რადიუმი“, რომელშიც მონაწილეობდნენ საგასტროლოდ ჩამოსული ცნობილი მსახიობები. შემოსული თანხა მარიამ ყაუხჩიშვილის სკოლის ღარიბ მოსწავლეებსა და მუსიკალურ სასწავლებელს ხმარდებოდა. არქივში დაცულია ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორის, მელიტონ ბალანჩივაძის ხელწერილი – „მ. ყაუხჩიშვილის ქალთა გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ გამართული საღამოს შემოსავლიდან მივიღე მუსიკალური სკოლის ფონდის გასაძლიერებლად სამასი მანეთი (300 მან.)“.

მეორე ხელწერილი ტრიფონ ჯაფარიძეს ეკუთვნის: „ქალბატონო მარიამ, გაახლებთ ას მანეთს თქვენი გიმნაზიისათვის გამართული საღამოს შემოსავლის მისამატებლად იმ იმედით, რომ კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების.“

მარიამ ყაუხჩიშვილის სკოლაში აღზრდის ორიგინალური მეთოდი იყო. აქ ბავშვებს კი არ სცემდნენ, არამედ ზრდიდნენ დარწმუნებით, პირადი მაგალითით, შთაგონებით. ამ სკოლიდან არც ერთი მოსწავლე არ გარიცხულა. სასწავლებლიდან გარიცხვას ქალბატონი მარიამი პედსაბჭოს სისუსტედ თვლიდა.

კარგი სწავლისა და დისციპლინისათვის ბავშვებს აჯილდოვებდნენ წიგნებით, მიჰყავდათ თეატრში. მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ დამყარებული მოსწავლეთა მშობლებთან. უფროსი კლასის მოსწავლეები სხვადასხვა თემაზე კითხულობდნენ რეფერატებს, მართავდნენ დისკუსიებს, აწყობდნენ ექსკურსიებს, უშვებდნენ ხელნაწერ ლიტერატურულ ჟურნალს, რომელშიც ათავსებდნენ საკუთარ ლექსებს, მოთხრობებს, სკოლის ცხოვრების ამსახველ წერილებს და ა. შ.

გიმნაზიას ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა. რუს, ევროპელ და ქართველ კლასიკოსთა ჩინებულ გამოცემებს გვერდს უმშვენებდა საბავშვო ლიტერატურის იშვიათი ფონდი. სკოლაში გახსნილი იყო ჭრა-კერვის სახელოსნო, სადაც გოგონები კერვას ეუფლებოდნენ.

სასწავლებელში არსებობდა სანიტარიული კომისია ლეჟავას თავმჯდომარეობით, რომელიც კონტროლს უწევდა სკოლისა და მოსწავლეების სისუფთავეს.

„რევოლუციამდელ ქუთაისში მ. ყაუხჩიშვილის სასწავლებელი ერთადერთი იყო, რომელსაც ფიზიკის სწავლებისათვის საჭირო ყველა ხელსაწყო გააჩნდა, აგრეთვე ბუნებისმეტყველებისათვის მრავალი მცენარე სპეციალურ ქოთნებში, თევზები აკვარიუმებში და ცხოველთა ჩონჩხები.“

ამ პერიოდის „ქუთაისში მოღვაწეობდა კოლექციონერი ალექსი სობრიევსკი, – იგონებს დოც. გ. კოკოჩაშვილი, – იგი პროფესიით ვეტექიმი იყო და დიდი მონდომებით აგროვებდა კავკასიის მოლუსკების ნიჟარების კოლექციას. საქართველოდან გამგზავრების წინ მან ნაწილი მარიამ ყაუხჩიშვილის კერძო გიმნაზიას დაუტოვა. სობრიევსკის კოლექციამ კიდევ უფრო გაამდიდრა ზოოლოგიური კაბინეტი“ (იხ. კ. ლილუაშვილის დასახ. ნაშრ).

შემდეგში ეს კოლექცია მარიამმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადასცა საჩუქრად. ფონდში დაცულია მადლობის წერილი, რომელიც გიორგი ჯავახიშვილმა მოსწერა მარიამ ყაუხჩიშვილს.

მარიამ ყაუხჩიშვილის ქალთა კერძო გიმნაზიამ 1921 წლამდე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იარსება. ამის შემდეგ სკოლამ ბევრჯერ განიცადა რეორგანიზაცია: ჯერ შრომის სკოლად გადაკეთდა, ხოლო 1938-1939 სასწავლო წლიდან – მე-17 საშუალო სკოლად და ა. შ.

გიმნაზია ყოველთვის უზრუნველყოფილი იყო მოწინავე პედაგოგთა კადრებით. აქ ასწავლიდნენ: ტარასი აბზიანიძე, ზინაიდა ჩიკვაიძე, ნიკოლოზ გურგენიძე, ალექსანდრე თორაძე, მარიამ ორახელაშვილი, ალექსანდრე უკლება. აქ კარგი მეთოდური გამოცდილება მიიღეს მასწავლებლებმა: ენრიკა ოქრომჭედლოვამ, ელენე მეფისაშვილმა, ჟენია რუხაძემ, თამარ სვანიძემ და სხვებმა.

პროგიმნაზიის უმცროს კლასებში თავისი პედაგოგიური მომზადებით გამოირჩეოდა ჟუკოვსკაია – რუსული ენის მასწავლებელი ქალი, დები: სოფიო, ელენე და მარიამ ბუტულაშვილები. ელენე მათემატიკის მასწავლებელი იყო, ხოლო სოფიო და მარიამი – რუსული ენისა და ლიტერატურის. გეოგრაფიის საუკეთესო მასწავლებლად ითვლებოდა ელენე მეფისაშვილი. მესამე-მეოთხე ჯგუფებს ფრანგულ ენას ასწავლიდა ვენერა ბერიძე – სათნო, კეთილი ადამიანი და საგნის შესანიშნავი სპეციალისტი.

ქართული ენის მასწავლებელი პროგიმნაზიის კლასებში იყო ელენე ლორთქიფანიძე-წულუკიძე (ცნობილი რევოლუციონერის, ალექსანდრე წულუკიძის ქვრივი); მისი ნასავლის შემდეგ – მაგიტა ანთაძე (ნინო ნაკაშიძის და). მაგიტა, ამ პერიოდში, ძალზე ახალგაზრდა, მაგრამ ენერგიული და ნიჭიერი ქალი იყო. უფროს კლასებში ასწავლიდა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ალექსანდრა პოპოვა. მოსკოვიდან ქუთაისში ჩამოსული პედაგოგი მარიამმა თავის სკოლაში მოიწვია. პოპოვა მეტად განათლებული ქალი ყოფილა, რუსული და მსოფლიო ლიტერატურის კარგი მცოდნე, რევოლუციური იდეებით ანთებული პედაგოგი. ის ახლოს იცნობდა ვ. ი. ლენინს და გარკვეული დროის განმავლობაში ხშირად ხვდებოდა მას. საქართველოს ისტორიას ასწავლიდა ტრიფონ ჯაფარიძე, მათემატიკურ საგნებს – სიმონ ოცხელი და გედევან წერეთელი, ბუნებისმეტყველებას – ალექსანდრე ჯანელიძე, შემდეგში ცნობილი მეცნიერ-გეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. საღმრთო სჯულის მასწავლებლები იყვნენ – ა. გერსამია და ცქიტიშვილი, გამორჩეულნი დემოკრატიული შეხედულებებითა და კეთილშობილებით.

სკოლის დირექტორი, შემდეგში საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებელი მარიამ იოსების ასული ყაუხჩიშვილი დაიბადა 1866 წელს ქალაქ ქუთაისში. 1886 წელს დაამთავრა ქუთაისის წმიდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზია. ამავე წლიდან 1898 წლამდე მოისმინა ჟენევის პედაგოგიური კურსები და გაეცნო საზღვარგარეთის საბავშვო ბაღებისა და საშუალო სკოლების სტრუქტურას. 1903 წლის სექტემბრიდან 1921 წლამდე მარიამ ყაუხჩიშვილი დირექტორად მუშაობდა ქუთაისის ქალთა კერძო გიმნაზიაში, რომელიც სამართლიანად ატარებდა მის სახელს; საკუთარი ოჯახი არ გაჩნდა, იგი ჭეშმარიტი პედაგოგი იყო.

მარიამ ყაუხჩიშვილი გარდაიცვალა 1939 წელს თავისსავე სკოლის შენობაში, სადაც ერთი პატარა ოთახი ეჭირა საცხოვრებლად. დაკრძალეს ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე. ქუჩას, სადაც მისი სკოლა მდებარეობდა, მარიამ ყაუხჩიშვილის სახელი ეწოდა.

ლია გაგუნია

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

გურამ გაგუნია

სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერტსიტეტის საზოგადოებათმცოდნეობის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის სრული პროფესორი

მე მიყვარს საქართველო

17 მაისი სამახსოვრო დღედ დარჩება ახალციხის №5 საჯარო სკოლის II² კლასის მოსწავლეებისთვის (კლასის ხელმძღვანელი – **ლია კაველიძე**). სკოლის დარბაზი საზეიმოდ იყო მორთული. საქართველოს რუკას ამშვენებდა მოწოდება – „მე მიყვარს საქართველო“. ჯარისკაცის ფორმებში გამოწყობილ პატარებსაც მკერდს სამკერდე ნიშანი „მე მიყვარს საქართველო“ უმშვენებდა.

გულისამაჩუყებელი იყო პატრიოტული ლექსები და სიმღერები, განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ქართველი დედის სახე, რომელიც დაკარგულ შვილს ეძებდა დაჭრილ მეომრებში, რამაც დამსწრე საზოგადოების მღელვარება გამოიწვია, მაგრამ ქართველი რა ქართველია, თუ მომავლის იმედი არ ექნება.

სწორედ ეს პატარები არიან ჩვენი ქვეყნის მომავლი თაობა. ყოველ მათგანში მომავლის ნათელი სხივია აკიაფებული და დარწმუნებული ვართ, ისინი პატრიოტებად ჩამოყალიბდებიან.

დასასრულს, პატარებს მადლობა გადაუხადეს სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ჟენია მერაბიშვილმა** და სასწავლო ნაწილის გამგემ **მარიამ კაჭკაჭიშვილმა**. მათ პატარებს დამოუკიდებელ, გაერთიანებულ საქართველოში ცხოვრება და სამშობლოს სიყვარული უსურვეს.

II² კლასის მოსწავლეთა მშობლების სახელით, მადლობას ვუხდით სკოლის დირექციას, კლასის ხელმძღვანელს, **ლია კაველიძეს** და მუსიკის მასწავლებელს, **მაია მაისურაძეს**. ვუსურვებთ სასიქადულო მამულიშვილების აღზრდას.

რუსუდან ჭიპაშვილი
მშობელი

პროექტი „დავიცვათ ქართული ენის სიწმინდე“

ქართული ენის შესწავლით მოსწავლე აცნობიერებს ენის სტრუქტურას, მის მდიდარ ლექსიკას, ნაირგვარ გამომსახველობით საშუალებებს. ეუფლება სწორად წერასა და მეტყველებას, ნააზრევისთვის ყველაზე საჭირო სიტყვისა თუ გამოთქმის შერჩევას, შესაფერისი წარმოთქმის კილოს.

მშობლიური ენის დაცვა ჩვენი ვალია. ყოველი ქართველი თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს მშობლიურ ენას, რომელშიც ასახულია „ერის წარსული, აწმყო და მომავალი, მისი ზნეობრივი და გონებრივი ცხოვრება“. სწორედ ამ მიმართულებით განხორციელდა პროექტი „დავიცვათ ქართული ენის სიწმინდე“ ადიგენის მუნიციპალიტეტის არლის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **მარო ჩხიტუნიძე**), რომელიც განახორციელა დაწყებითი კლასის მასწავლებელმა, **ინგა კაჭკაჭაშვილმა**.

პროექტის მიზანია: მომავალი თაობის დაინტერესება მშობლიური ენის სიწმინდის დაცვით; ადგილობრივი მოსახლეობისა და სკოლის მოსწავლეებისათვის მათ ლექსიკაში არსებული ბარბარიზმების შესახებ ინფორმაციის მინოდება; ადგილობრივი მოსახლეობისა და მოსწავლეების მიერ ბარბარიზმების გამოყენების შემცირება.

პრობლემა, რის გამოც ეს პროექტი განხორციელდა, იყო საზოგადოების არადამაკმაყოფილებელი ყურადღება ქართული ენის სიწმინდის დაცვისადმი. პროექტი განახორციელეს IV კლასის მოსწავლეებმა. მათ გადაწყვიტეს კვირეულის ჩატარება შემდეგი მითითებების მიხედვით: იმსჯელეთ, რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა; აღწერეთ, კონკრეტულად რის გაკეთებას აპირებთ; დაასაბუთეთ, რა მნიშვნელობა ექნება ამ ღონისძიებას თქვენი სკოლის მოსწავლეებისათვის.

პროექტის ფარგლებში, ყველა მოსწავლემ მოიძია და შეაგროვა ბარბარიზმები, დააკვირდა მეტყველებას სკოლაში, ტრანსპორტში, სახლში, მაღაზიაში, ქუჩაში. პროექტის პრეზენტაციისათვის ჩაწერეს ინტერვიუები მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან (**ნარგიზ კაჭკაჭაშვილთან, ვაჟა თათეშვილთან, მაია ბერიძესთან, ცირა ვარდიძესთან**) – როგორ აღმოვფხვრათ ჩვენი მეტყველებიდან ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ამახინჯებს ენას და დაკნინებისკენ მიჰყავს; რა იციან ქართული ენის დღეზე; იყენებენ თუ არა საუბრისას ბარბარიზმებს. ბავშვებმა კლასში დადგეს საჯარიმო ყუთი (ენის სიწმინდის დამრღვევები დაჯარიმდნენ და შემოწირული თანხით, ბავშვების სურვილით, შეიძინეს საწერი კალმები), დაამზადეს პლაკატები სხვადასხვა წარწერებით და გამოაკრეს სკოლის დერეფნებში, ასევე, მოამზადეს ბუკლეტები. ბარბარიზმებთან ბრძოლის მიზნით, პროექტის ფარგლებში, მოაწყვეს დისკუსია თემაზე – „ჩვენ შეგვიძლია ვიმეტყველოთ წმინდა ქართულით“. ჩაატარეს დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ო, ენავ ჩემო“, რომელიც ოსტატურად მიჰყავდათ **აჩიკო მსხვილიძეს** და **ანა აფრიამაშვილს**. მათ კიდევ ერთხელ გაიხსენეს გამოჩენილი ადამიანების ნააზრევი ქართული ენისა და დედაენის შესახებ. პატარები დიდი სიყვარულით კითხულობდნენ ლექსებს, აცოცხლებდნენ იაკობის პიესებს. ღონისძიებას ხიბლს მატებდა მუსიკალური გაფორმება (პედაგოგი – **მარიკა რეხვიაშვილი**). მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ შეახსენეს მსმენელს „დედაენა“, „შენ მშობლიურო ანბანო“, „ო, ენავ ჩემო“...

დასასრულს, ბავშვებმა მადლობა გადაუხადეს ძია იაკობს ასეთი მდიდარი მემკვიდრეობისათვის და ღონისძიება მოხდენილი სიტყვებით დაასრულეს: „ჩვენი ზეიმი დამთავრდა, მაგრამ ქართული ენის ზეიმი არ დამთავრებულა. იგი გრძელდება და გაგრძელდება, ვიდრე საქართველო იარსებებს“.

პროექტის კულმინაცია იყო განხორციელებული სამუშაოების პრეზენტაცია. სტუმრებს, მშობლებსა და სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს დაურიგდათ ბუკლეტები, სადაც შეტანილი იყო ის ბარბარიზმები, რომლებიც არლელი მოსახლეობის ლექსიკონში გამოიყენება. პრეზენტაციის ბოლოს, სკოლის დირექტორმა მადლობა გადაუხადა ქალბატონ ინგას და აღნიშნა, რომ ქართული ენის სიწმინდის დაცვა ერთნაირად უნდა აღელვებდეს ყველას, ვისაც ქართული ენის მოვლა-პატრონობა სისხლხორცეულ საქმედ მიაჩნია.

მოსწავლეებს, რომლებსაც პროექტის მიმდინარეობისას ბარბარიზმები არ გამოუყენებიათ, „ენის სიწმინდის დამცველის“ ტიტული მიენიჭათ და სიგელები გადაეცათ.

ამ პროექტმა ნათლად დაგვანახა, რომ არლის საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეები, სწამთ რა კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები: „ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა სამშობლოსი“, უპირველეს მოვალეობად მიიჩნევენ – ფხიზელ დარაჯად დაუდგნენ მშობლიურ ენას არა მარტო პროექტის ფარგლებში, არამედ ყოველთვის და ყველგან.

ნარგიზ კაჭკაჭაშვილი
არლის საჯარო სკოლის
სასწავლო ნაწილის გამგე

„ახალი განათლების“ წიგნის თაროზე

სიახლე!



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

პირველად საქართველოში, მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია გლობალურ კონტექსტში, უნიკალური ილუსტრაციებით, რუკებითა და ფოტომასალით.

ეს წიგნი თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე და ერთადერთი ქართული გამოცემაა, რომელშიც მკითხველი გაეცნობა უამრავ საკვირველ და თანაც ნამდვილ ამბებს ადამიანებზე, ქვეყნებსა თუ მოვლენებზე, რომელთა წყალობითაც შეიქმნა ის მრავალფეროვანი სამყარო, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ.

ეს წიგნი დაგეხმარებათ სხვადასხვა ქვეყნის ისტორიულ, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროექტებზე მუშაობისას, რადგან აქ მსოფლიოს ისტორიის თითოეული ეტაპი ამა თუ იმ ქვეყანასთან, კონტინენტებთან მიმართებაში დაწვრილებით, თემატურადაა განხილული – დასაბამიდან დღემდე – ქვის ხანის ადამიანებიდან რუსეთ-საქართველოს ომით დამთავრებული.

წიგნი გამოცემულია უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე და მთელ მსოფიოში უნიკალურ სამაგიდე წიგნადაა აღიარებული.

ზომა: A4, 496 გვერდი, მაგარ ყდაში, სუპერგარეკნით.

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია



წიგნში მოცემულია 1000-ზე მეტი ფერადი ილუსტრაცია. გაეცნობით ძუძუმწოვრების, ფრინველების, ქვეწარმავლების, ამფიბიების, ობობების და სხვა უხერხემლოების შესახებ ბევრ საინტერესო ინფორმაციას. წიგნი შედგენილია ექსპერტთა ჯგუფის მიერ.



ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

მოიცავს ყველა ძირითად ეტაპს ხელოვნებაში, რენესანსიდან დაწყებული XX საუკუნის მასკულტურით დამთავრებული. ტექსტითა და უხვი ილუსტრაციებით, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის დიდ მხატვრებსა და ხელოვნებაში ახალ მიმდინარეობებზე. კონკრეტული მხატვრების ნამუშევრები ანალიტიკურ მოდულებშია გამოყოფილი, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს უფრო საფუძვლიანად გაეცნოს და დააფასოს მათი უაღრესად მრავალფეროვანი ტექნიკა. წიგნში მოთხრობილია ხელოვნებაში წლების წინ დამკვიდრებული თემებისა და ჟანრების შესახებ, როგორიცაა შიშველი ფიგურა, ნატურმორტი, პეიზაჟი, ქალაქური ცხოვრება და სხვ.

ვაცნობიერებთ რა ამ ენციკლოპედიების მნიშვნელობას სკოლებისა და პედაგოგებისთვის გთავაზობთ გრანდიოზულ ფასდაკლებას:

მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია – 35 ლარი
საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია – 26 ლარი
ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია – 30 ლარი

ხელმოწერის თანხა უნდა ჩარიცხოთ
30 მაისამდე

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
95 80 23; 890 95 80 23; 877 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/აGE93LB0113314052305000

ჯეგროვნიერთდით!

სიახლე!

გამოვიდა „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების“ სერიიდან სამი ახალი ტომი:

ფიოდორ დოსტოევსკი – „მკვდარი სახლის ჩანაწერები“
სტენდალი – „წითელი და შავი“
შოდერლო დე ლაკლო – „სახიფათო კავშირები“

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“
ერთი ტომი – 12 ლარი

„რა არის რა“ ერთი ტომი – 11 ლარი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია: საქართველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K